საქართველოს კომუნისტური პარტია (ბოლშევიკებისა)

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

სამშაბათი, 31 აგვისტო 1920 წ.

რედაქცია და კანტორა მოთავსებულია პასკევიჩის ქ. № 3 მეორე სართულში. თვიური ხელის მომწერთათვის გაზეთი ღირს 125 მან.

ფასი 5 მან.

№ 31 ყოველდღიური ორგანო საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ და ტფილისის კომიტეტებისა. № 31

„ძველის-ძველი ჭეშმარიტებაა, რომ წვრილ-ბურჟუაზიული რეფორმატორები ყველა საგანში ხედავენ «კარგს» და «ცუდს» მხარეს და ყველასგან და ცოტ-ცოტათ ჰირს იტკბარუნებენ».

**როზა ლიუქსემბურგი. „სოციალური რევოლიუცია“.**

## საზოგადოებრივი მეურნეობა თუ კერძო თაოსნობა?

ასე არ აყენებენ კითხვას საქართველოს მმართველი წრეები დღესაც კი, როდესაც ფასების უზარმაზარი ნახტომით შექმნილი აუტანელი მდგომარეობა მათაც აიძულებს განსაკუთრებული ზომები ეძებონ. მათი განცხადებით ისინი საზოგადოებრივ მეურნეობას მხოლოთ უპირატესობას ანიჭებენ და კერძო ინიციატივსაც აძლევენ ადგილს, რამდენათაც ის პირველს არ ეწინააღმდეგება და პირიქით მას ეხმარება.

რაც გინდ იყოს, ესეც ახალი მოვლენაა ჩვენი ქვეყნის მესვეურთა ეკონომიურ პოლიტიკაში, რომლებიც დღემდე კერძო ვაჭრობის თავისუფლების ნიადაგზე იდგენ. ვაჭრობის თავისუფლებამ და მრეწველობის ყოველ დარგში კერძო თაოსნობის შეუზღუდველმა ფარგლებმა ვერ უზრუნველყო საქართველო საერთო ეკონომიური არევდარევისაგან და ჩვენს წინ იშლება უკვე ცნობილი სურათი მთელი სამეურნეო ცხოვრების მოშლისა და დაქვეითებისა, რომელსაც მეტნაკლებათ ყველა ქვეყნებში აქვს ადგილი. საქართველო ბეჯითათ ეწევა იმ „ჩამორჩენილ ქვეყანას,“ რომლის გაქირდვა და გამასხარავება მის მესვეურთა ერთათ ერთი ხელობა იყო. სულ რამდენიმე ხნის წინათ ესენი ქვეყანას ყურებს უჭედდენ იმ საშინელების დახატვით, რომ რუსეთში თავისუფალ ბაზარზე გირვანქა პური 20 და 30 მანეთი ფასობს, ხოლო ახლა თავისავე ქვეყანაში ისინი დგანან იმ ულმობელი ფაქტის წინაშე, რომ უკანასკნელი ხარისხის უვარგისი პური 45 მანეთი ღირს.

და ასე დგას არა მარტო პურის, არამედ ყველა მასიურათ მოსახმარ საგნების საკითხი. მშრომელი ვერ ინაზღაურებს მის მიერ დახარჯულ ძალის რაოდენობას, ხოლო ამის მიზეზით აუცილებლათ ეცემა მისი შრომის ნაყოფიერება; ამასთან ერთათ გრძელდება მუშა ძალის გაყვლეფა და მის ხარჯზე პარაზიტების კვება, რაც შეუძლებელს ხდის ზედმეტი ღირებულების ნაწილი წარმოების გაფართოებას ან თუნდა არსებულის აუცილებელ საჭიროებას მოხმარდეს. ყოველივე იმის შედეგი ხდება წარმოების თვით ძირითადი თანხის განიავება და საერთოთ საწარმოვო ძალთა და მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანის—სამუშაო ძალის განადგურება.
თვით ძირითადი თანხის განიავება და საერთოთ საწარმოვო ძალთა და მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანის—სამუშაო ძალის განადგურება.

ეს საერთო მოვლენაა ყველა ქვეყნებში, სადაც მშრომელი ძალა ქვეყნის განადგურების შემდეგ კიდევ იძულებულია არჩინოს თავისივე ნაწილი; ისეთივე მშრომელი ძალა, რომელიც დღესაც ორგანიზაციულათ აწარმოებს მხოლოთ ცოცხალი ძალის და სიმდიდრის განადგურების საქმეს. ჯარი, რომელიც ვერ დაბრუნებია სიმდიდრის შექმნას, წარმოადგენს იმ მძიმე ტვირთს, რომელიც წელში სწყვეტს ყოველივე ღონისძიებას წარმოების აღდგენისა. ამას ემატება სახელმწიფო აპარატის მოხელეთა მეორე არა ნაკლებ რიცხოვანი ჯარი, რომლის ხარჯებს მთავრობა მეტნაწილათ ფულების ბეჭვდით ფარავს, რაც არა პირდაპირი გადასახადის მსგავსათ ყოველ დღიურათ ბეგრავს იმავე მშრომელ ძალას. ყველა ამის გამო საბოლოვოთ გამოსვლა ჩვეულებრივი ზომებით შეუძლებელია.

ეს შეუძლებლობა წარმოების აღდგენისა და მოწესრიგებისა ძალაში რჩება არაჩვეულებრივ ზომების დროსაც, რაც გინდ მიზანშეწონილი იყვნენ ეს უკანასკნელნი, როდესაც მათ ადგილი აქვთ განცალკევებულათ ერთ სახელმწიფოში, ან რომელიმე ქვეყანაში. საერთო არევდარევა დღეს ისეთი მსოფლიო მოვლენაა, რომ მისგან თავის დაღწევა აუცილებლათ მსოფლიოს მასშტაბში უნდა მოხდეს. მაგრამ სანამ ეს მოხდებოდეს, არა-ჩვეულებრივი ზომების ძიება ყოველმა ქვეყანამ უნდა გაიაროს, რომ დიდი ტკივილების შემდეგ წარმოიშვას სრულიათ ახალი ქვეყანა სრულიათ ახალი, სოციალისტური წყობილებით.

რაც უფრო შეგნებულათ მიდის ესა თუ ის ქვეყანა ამ გზისაკენ, მით უფრო ნაკლებია მისგან გამოწვეული ტკივილები. სწორეთ ეს შეგნებული მსვლელობა განსაზღვრული მიზნისკენ აკრძალული ხილი იყო საქართველოში, და რასაკვირველია ეს მდგომარეობა დღესაც გრძელდება მიუხედავათ ეკონომიურ სფეროში ვითომდა ახალი კურსის აღიარებისა. საქართველო სტიქიური თვალახვეულობით განაგრძობდა ძველი გზით სიარულს, სანამ ეს აუტანელი არ შეიქნა. ოდნავი დაკვირვება კი საკმარისი იყო იმის გამოსაცნობათ, რომ საქმეთა ასეთი ვითარება აუცილებელი შეიქნებოდა.

დღესაც ეს ძველი გზა სავსებით არ არის უარყოფილი. შეიძლება უფრო სწორი იყოს იმის თქმა, რომ ეს გზა სრულიათაც არ არის უარყოფილი. მასიურათ სახმარი საგნებით ვაჭრობის რეგლამენტაცია, ზოგიერთ სამეურნეო დარგებში სახელმწიფოს ჩარევა მათი მოწესრიგების და დალუპვისგან გადარჩენის მიზნით და ამავე დროს კერძო ინიციატივისთვის საკმაოთ ფართო ასპარეზის დატოვება—ეს ისეთი ზომებია, რომელსაც ომის დროსვე დაადგა ბურჟუაზიული ევროპა, ხოლო საერთო განადგურების და რღვევის პროცესი მან ამით მაინც ვერ შეაჩერა. ეს არის გილფერდინგის მიერ აღიარებული ერთი გამოსავალთაგანი კარზე მომდგარი კატასტროფიდან, ეს არის კაპიტალისტური გზით ძველი კაპიტალიზმის აღდგენა.

დღეს ამავე ზომებს ადგება საქართველოს მთავრობა და რა თქმა უნდა, შექმნილ პირობებში იმდენათ უკეთეს შედეგს არ უნდა მოველოდეთ აქედან, რამდენათ უარესს.

რა თქმა უნდა, საქართველოს, როგორც პატარა და თან ჩამორჩენილი მეურნეობის ქვეყანა, იძულებულია კუდში სდიოს მსოფლიო მეურნეობაში გავლენის მქონე გიგანტებს და ორი უკვე გამოაშკარავებული და ერთი მეორის მებრძოლი გზიდან ერთ-ერთი აირჩიოს: ან კაპიტალისტური გზა იმპერიალისტური ევროპისა და ან სოციალისტური—საბჭოთა რუსეთისა.

ძველი ტრადიცია და აგრეთვე ძალთა არსებული ურთიერთობა ევროპასა და რუსეთს შორის ევროპისკენ ერეკება საქართველოს. „ჩვენ გვირჩევნია დასავლეთის იმპერიალისტები აღმოსავლეთის ფანატიკოსებს“—ამბობენ მისი მესვეურები. მაგრამ ევროპა თვით დგას კატასტროფის წინ და დღეს ყველასითვის აშკარაა, რომ მის დღევანდელ პატრონთა ყოველი ღონისძიება ამ კატასტროფიდან თავის დაღწევისა, სრულიათ ამაოა. გარდა ამისა, ევროპა ცდილობს (და ამისთვის არ ერიდება ადამიანთა არავითარ მსხვერპლს) როგორმე აღადგინოს განადგურებული კაპიტალიზმი. საქართველოს კი საკუთრივ აღსადგენიც არაფერი აქვს, აქ უფრო ახლათ მოსაწყობია სახალხო მეურნეობა და სწორედ იმიტომ არ ეწყობა იგი აქ, რომ მისი ძველი სისტემა ინგრევა იმ ქვეყნებშიაც, სადაც მას ბოლო დრომდე ასეთი მტკიცე საფუძველი ქონდა და რომლებსაც უნდა ასდევნებოდა პატარა საქართველო, როგორც ეკონომიურად მათთან მჭიდროდ დაკავშირებული და თან მათგანვე ძლიერათ დამოკიდებული ქვეყანა.

როდესაც ევროპა მართლა შედგება თავისი მეურნეობის განახლების გზაზე, აქ უკვე ადგილი აღარ ექნება ბურჟუაზიულ სანახევრო ზომებს, საზოგადოებრივ მეურნეობასთან ერთად კერძო თაოსნობის ფართოშსაც, აქ პროლეტარიატი იქნება ქვეყნის მესვეური, რომელიც სიმძიმის ცენტრს მაშინვე გადიტანს საზოგადოებრივ მეურნეობაში და წავა იმ გზით, რომელიც, თუმცა დიდი მსხვერპლის გაღებით, მაგრამ მაინც ყველაზე ადრე აღნიშნა საბჭოთა რუსეთმა.

საქართველოს მესვეურთა ეკონომიური პოლიტიკა, რომელიც ევროპის ბურჟუაზიის პრაქტიკიდან არის აღებული, რასაკვირველია, ვერ გააუმჯობესებს საქართველოს მდგომარეობას და ადრე თუ გვიან მის წინ დააყენებს იმავე საკითხს, რომელიც უკვე დგას გადასაჭრელად ევროპის პროლეტარიატის წინაშე: საზოგადოებრივი წარმოების სისტემა მეურნეობის ყველა დარგში ნაცვლად კერძო ინიციატივისა, რომელმაც უფსკრულის კარამდე მიიყვანა მთელი ქვეყანა.

## „ჩვენ ამას მოვითხოვთ“

„საჭიროა ჩვენსკენაც მოხედვა, ჩვენ ამას მოვითხოვთ“, ეუბნება საქართველოს მთავრობას მტკიცეთ და გადაჭრით „დევნილი მუშა“ გაზეთ „ახალ სხივიდან“. (იხ. გაზ. „ახ. სხ.“ № 18, წერილი: „რა დავაშავეთ“?)

ვინაა ეს „დევნილი მუშა“? ვინ არიან ისინი, რომელთა შესახებ ის კითხულობს: „რა დააშავეს მათ, რომ მთავრობა ასე უყურადღებოთ ტოვებს დღევანდელ საშინელ პირობებში და მათ მუშებათ არ თვლის? აი კითხვები, რომლებიც უნებურათ აღეძვრება მკითხველს ამ წერილის წაკითხვაზე.

„დევნილი მუშა“—ეს არაა დევნილი პოლიტიკური „დანაშაულობისათვის“. არა, ის დევნილია, როგორც მუშა; ის ჩვეულებრივი ტიპია ქართველი მუშის. ის ულრმესათ უკმაყოფილოა მთავრობის მოქმედებით, მთავრობის მოპყრობით მუშებისადმი საერთოთ, რისთვისაც ის საყვედურით მიმართავს მას და ეუბნება: დროა ჩვენც, მუშებსაც, „მოგვხედოთ“ და ჩვენი ინტერესებიც დაიცვათო.

ეს მოვლენა მეტათ სიმპტომატიურია ჩვენი ცხოვრებისათვის, ეს გამოშკარავებაა ერთი მხრით იმ ფაქტის, რომ ჩვენს მთავრობას მუშები ორ განსხვავებულ კატეგორიათ გაუყვია: „ნამდვილ“ მუშებათ და არა ნამდვილებათ. ეს ნამდვილი მუშები მათი მუშებია, სხვანაირათ მათი დამქაშები, ხოლო სხვები, დანარჩენები კი მის თვალში საქართველოს მუშათა კლასის ნამდვილი შვილები კი არ არიან მისი აზრით, არამედ გერები. „ნუ თუ თქვენც მუშები ხართო“, ეკითხება საქართველოს მუშებს უმრავლესობას შრომის სამინისტროს ერთი ბობოლა მოხელეთაგანი და ის ამით სავსებით გამოხატავს ჩვენი მთავრობის დღევანდელ მუშათა პოლიტიკას. მუშები მას გაუყვია ორ კატეგორიათ და პირველს ის ანებივრებს, პირველზე ზრუნავს, პირველის დასაკმაყოფილებლათ არაფერს არ ზოგავს, მისთვის ყველაფერს „იმარაგებს“, ხოლო მეორესკენ არც კი იხედება და თუ ის უნებურათ მიახედეს მისკენ, მრისხანეთ შეუტევს და უკმეხათ შეეკითხება: „ნუ თუ თქვენც მუშები ხართო“?!

მეორე მხრით აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ეს მეორე კატეგორია, რომლის წარმომადგენლები გერებათ უცვნია მთავრობას თავს „დევნილებათ“ გრძნობენ და დიდი უკმაყოფილების კილოთი მიმართავენ თავის დედინაცვალ მთავრობას და მრისხანეთ ეკითხებიან: „ნუ თუ ჩვენსკენაც აღარ მოიხედავო“? ეს იმას ნიშნავს, რომ საქართველოს მუშათა კლასის სულიერ განწყობილებაში ძირითადი გარდატეხა ხდება, რაც ჩვენი ხალხის დღევანდელ პოლიტიკურ ვითარებას ერთიანათ განსაზღვრავს.

და მართლაც ერთი მხრით 1) ცხოვრების უსაზღვროთ გაძვირებას, 2) წარმოების დაცემას, 3) უმუშევრობის გაძლიერებას და აქედან წარმოშობილ შიმშილობას, ხოლო მეორე მხრით მთავრობის უყურადღებობას მუშებისადმი საერთოთ და მის უმწეობას ეკონომიურ კრიზისის წინაშე საქართველოს მუშათა კლასის დიდი უმრავლესობა თავის ლოღიკურ დასკვნამდე მიჰყავს.

და ეს გარდუვალი დასკვნა კი ასეთია: საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა მუშების ინტერესებს ვერ იცავს, მისი მთავრობა მუშათა მთავრობა არაა. ამიტომ, საქართველოს მუშათა კლასმა, საქართველოს მთელმა ხალხმა, თუ სურს, რომ მოსალოდნელი საფრთხე-გადაშენება თავიდან აიშოროს, თუ სურს, რომ ეკონომიური კრიზისი დასძლიოს და თავისი კლასობრივი ინტერესები მტკიცეთ, ხელაღებით დაიცვას, აუცილებლათ საჭიროა თავისი საკუთარი, თავისი მუშური მთავრობა შეჰქმნას. „ჩვენ ამას მოვითხოვთ“!

რ. კ.

## ადგილობრივი პრესა.

ისეთი რა მოვლენა იქნება, რომ „ბორბამ“ წყეული კომუნისტების წინააღმდეგ არ გამოიყენოს. იმარჯვებენ ბალშევიკები და ვაი მათი ბრალი: ამაშია თურმე მათი დამარცხების უტყუარი ნიშნები; უკან იხევენ სადმე ისინი და ხომ უარესი: დადგა მათი აღსასრულის დღე, რომელიც „ბორბამ“ დიდი ხანია იწინასწარმეტყველა. ევროპაში პოულობს ბალშევიზმი გავლენას, თუ აზიაში, შეურიგებლობას იჩენს მტრებთან, თუ კომპრომისების გზას ადგება—ყველა ეს მოვლენები ერთნაირათ ბალშევიზმის საწინააღმდეგოა.

„ბორბა“ ვერ უღალატებს ასეთ „მიმართულებას“, როგორც ის ვერ გაექცევა თავის თავს. უკანასკნელი მოვლენა, რომელიც მის ყურადღებას იპყრობს, არის აღმოსავლეთის ხალხთა სიეზდი ბაქოში, რომელიც ამ დღეებში გაიხსნება.

ყოველი მიუდგომელი მკვლევარისთვის ეს უდიდესი მოვლენაა საერთოთ და განსაკუთრებით კი აზიის ხალხთა ცხოვრებაში. დაჩაგრულ დამონებული, ევროპის კაპიტალიზმის საწველ ფურათ გადაქცეული, სახედნ პირუტყვამდე ჩამოქვეითებული აზიის მრავალ მილიონიანი ხალხი აპირებს წელში გამართვას, საკუთარ ფეხზე დადგომას და საუკუნოებრივი უღლის უკუ-გდებას.

„ბორბა“ ველარ მალავს, რომ ამ სიეზდზე იკრიბებიან „აღმოსავლეთის ჭეშმარიტი წარმომადგენელნი“. ის ველარც იმას მალავს, რომ

„კოლონიების განთავისუფლება, განმათავისუფლებელი ბრძოლა იმ ერებისა, რომლებიც გასრესილი იყვნენ ათეული წლების განმავლობაში უცხოელი ექსპლოატაციით, ისეთივე აუცილებელი მოვლენა იყო მსოფლიო ომისა, როგორც რუსეთის ბალშევიზმი, როგორც თანამედროვე ევროპის კრიზისი“

„ბორბა“ ველარც იმას მალავს, რომ „აღმოსავლეთის ემანსიპაციისათვის მებრძოლი ძალები“ ბალშევიკების თაოსნობით იკრიბებიან და მათი წინამძღოლობაც ბრძოლაში ბალშევიკებს ეკუთვნის. მაგრამ ამის შემდეგ წინ დგება დახლიდარის ანგარიშები და „ბორბა“ ცდილობს გამოიცნოს, ვინ ვის მოატყუებს, ვინ მეტს მოგებას ნახავს, ვინ მეტ სარგებლობას გამორჩება, ვინ გამოიყენებს თავის სასარგებლოთ მეორეს—ბალშევიზმი აღმოსავლეთის ხალხებს, თუ აღმოსავლეთის ხალხები ბალშევიზმს; ან იქნებ კომპრომისია მათ შორის შესაძლებელი? გაზეთი ასეთ პასუხს იძლევა:

„ბალშევიზმი რომ იმდენათ მნიშვნელოვან ძალას წარმოადგენდეს, რომ მას შეეძლოს დაუყონებლივ აღმოუჩინოს აღმოსავლეთის ხალხებს რეალური დახმარება, და რომ რუსეთის შინაური ცხოვრების პირობები არ უკარნახებდენ ბალშევიკებს აღმოსავლეთ ერების გაცარცვას და დამონებას იმ მიზნით, რომ შეინარჩუნონ ძალა-უფლება რუსეთში, მაშინ ეს კომპრომის მისაღწევი იქნებოდა. მაგრამ რადგანაც სინამდვილეში ბალშევიკების ყველა მისწრაფება, მათი მუშაობის ყველა ობიექტიური პირობები პირდაპირ ეწინააღმდეგება აღმოსავლეთის ხალხთა მისწრაფებებს და ინტერესებს, ამიტომ მარტო ერთი საერთო მტრის ყოლა ვერ გააერთიანებს ბალშევიკებს და აღმოსავლეთის მოძრაობას.

საბოლოვოთ გაზეთი იმ დასკვნამდე მიდის, რომ

„რამდენათაც ბაქოს სიეზდი ხელს შეუწყობს აღმოსავლეთის მებრძოლ ძალთა გაერთიანებას, იმდენათ ის ჩამოაშორებს მას ბალშევიზმს“.

კითხვა დგას: მიეცემა თუ არა უფრო მწყობრი და შეკავშირებული ხასიათი იმ ბრძოლას, რომელსაც განცალკევებულათ უკვე აწარმოებენ აღმოსავლეთის ხალხები ევროპის იმპერიალიზმის წინააღმდეგ? ბაქოს სიეზდსაც ამ ამოცანის გადაწყვეტა აქვს დაკისრებული. „ბორბა“ ფიქრობს, რომ თუ აღმოსავლეთის ხალხები ამ დიად ბრძოლაში გაერთიანდენ, ისინი უეჭველათ ზურგს შეაქცევენ ბალშევიკებსო, მაშასადამე, ისინი ჩამოშორდებიან მათი მტრის წინააღმდეგ უმთავრეს მებრძოლ ძალას. მერე ვისკენ იბრუნებენ ისინი პირს? ალბათ იმ ევროპის იმპერიალისტებისკენ, რომელთა წინააღმდეგ ბრძოლა დღეს მათ მიზნათ დაუსახავთ. სხვა გზა კი არ არის. ან ძველი მონობა ევროპის იმპერიალიზმის კლანჭებში, ან ბალშევიზმთან ერთად შეუბრალებელი ბრძოლა ევროპის იმპერიალიზმის წინააღმდეგ. ჩვენ დარწმუნებუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი ვართ, რომ „ბოლშევიზმის მცარცველობა და მყვლეფელობა“ „ბორბას“ რედაქციას არ გასცილდება და ბაქოს სიეზდი პირნათლათ აასრულებს ისტორიის მიერ დაკისრებულ მოვალეობას.

## სიმშილობასთან ბრძოლა რუსეთში.

(გაგრძელება იხ. „ახ. კომ.“ № 28).

სასურსათო საგნებზე განუწყვეტლივ ფასების მომატება, იძულებულს ხდიდა მუშების ხელფასის გადიდებასაც. წარმოებაში ჩაბმულ ბურჟუაზიას არ სურდა მუშების ხელფასის გადიდებით თავისი მოგების ნაწილი გადასულიყო მემამულეთა და შეძლებულ გლეხების ჯიბეებში. ამიტომაც რევოლიუციის დაწყების რამოდენიმე თვის წინათ ბურჟუაზიამ დაიწყო კამპანია, რათა პურზე დაწესებულიყო მტკიცე ფასები და აგრეთვე მოწესრიგებულიყო მცხოვრებლებისთვის მთავარი სასურსათო საგნების მიწოდების საქმე. ამიტომ ბუნებრივია ის, რომ, როგორც კი ბურჟუაზიამ ჩაიგდო ძალაუფლება ხელში, ის შეუდგა სასურსათო კითხვის გადაწყვეტას სულ სხვა მეთოდით, სხვა ნიადაგზე.

1917 წლის მარტის კანონით, პურზე მონოპოლიის გამოცხადებით, დროებით მთავრობამ პური სახელმწიფო საკუთრებათ აღიარა და დაადგინა მთელი ზედმეტი პური მტკიცე ფასებში გადასცემოდა სახელმწიფო სასურსათო ორგანოებს. ამ აქტით მხოლოდ ერთი ნაბიჯი გადიდგა წინ სასურსათო საკითხში მეფის მთავრობის კანონთან შედარებით. ამ კანონით პირველი ყუმბარა იქნა გასროლილი თავისუფალ ვაჭრობის სიმაგრეების დასანგრევათ. თავისუფალ ვაჭრობის ნიადაგზე აყვავდა სპეკულიაცია, რომელმაც წარმოშვა ათასნაირი სასურსათო დაბრკოლებები. ამასთან ერთად ძალა-უფლება დაკარგულ მემამულეებს და გლეხობას მოუწოდებდენ მოეხადათ თავისი მოვალეობა და სასურსათო კრიზისის შესამსუბუქებლათ მიეტანათ მსხვერპლი სამშობლოს საკურთხეველზე.

ბურჟუაზიას, რომელმაც ხელთ იგდო სახელმწიფო გემის მესაჭეობა, ძლიერ იოლათ წარმოიდგინა საქმე. ის ფიქრობდა, რომ პურზე მტკიცე ფასების დაწესების და მით თავისუფალ ვაჭრობის მოსპობის შემდეგ, შესაძლებელია სხვა სოფლისთვის აუცილებელი საჭიროების საგნები დარჩეს სპეკულიანტების ხელში. აქ, ამ დარგში ბურჟუაზიას არ სურდა საერთოთ დარღვეულიყო თავისუფალ ვაჭრობის პრინციპები და არ შელახულიყო წარმოების კაპიტალისტური საფუძვლები. ასეთი ცვლილებები მოასწავებდა საწარმოვო კაპიტალის მიერ სასოფლო მეურნეობის ეკონომიურ დაპყრობას. რომ ბურჟუაზიის ხელის უფლება მოჩვენებითი ხასიათის არ ყოფილიყო და დროებით მთავრობას რეალური ძალა ქონოდა, ამ შემთხვევაში ეს სასურსათო პოლიტიკა შეიძლება გამარჯვებით დაგვირგვინებულიყო. მაგრამ ამ შემთხვევაში ისტორიამ „მცემარა ძროხას რქები არ მისცაო“. რევოლიუციამ მუშათა კლასში გააღვიძა შემოქმედებითი ძალები. მუშათა კლასს არ შეეძლო გაჩერებულიყო შუა გზაზე. რაც შეეხება რევოლიუციონურად განწყობილ სოფელს და გლეხობას, რაკი ერთხელ დაამხო მან მემამულეთა ხროვის პოლიტიკური ძალა-უფლება, ის ცდილობდა რათაც არ უნდა დაჯდომოდა თავიდან მოეცილებია ძველი ეკონომიური ჯაჭვები.

გლეხობას არავითარი სურვილი არ ქონდა ჩავარდნილიყო ახალ ეკონომიურ მონობაში.

ყველაფერი ეს ერთად აღებული იძულებულს ყოფდა მთავრობას რაიმეფერად მშვიდობით გაეტარებია თავისი სახელმწიფოს გემი. დროებითი მთავრობამ ერთი მხრივ გამოაცხადა ზედმეტი პური სახელმწიფო საკუთრებათ, გამოაცხადა მაზე სახელმწიფო მონოპოლია, მეორე მხრივ იძულებული იყო დათმობაზე წასულიყო და პურის „რეფორმის“ ცხოვრებაში გატარების საქმე ჩაებარებია უმთავრესათ შეძლებულ გლეხობისათვის, რომლებიც დაინტერესებულნი იყვნენ პურის თავისუფალ ვაჭრობაში.

დროებითი მთავრობა იძულებული იყო ანგარიში გაეწია დამშეულ მუშებისათვის და აგრეთვე გლეხობის გულის მოსაგებათ ის შეუდგა სოფელზე საქონლის გაცვლის საქმის მოგვარებას.

დროებითი მთავრობას, რომელიც ბურჟუაზიის ინტერესების საუკეთესო დამცველი იყო, არ შეეძლო და არც სურდა ეხმარა რაიმე საშუალება, რომელიც ამ შემთხვევაში რაიმე დადებით, რეალურ ნაყოფს მოიტანდა.

დროებითი მთავრობის სასურსათო პოლიტიკა თავისი მჭრელი პირით დაპირდაპირებული იყო გლეხობაზე, იმავე დროს მიზნათ ისახავდა საწარმოვო კაპიტალის ინტერესების დაცვას. საწარმოვო კაპიტალის ინტერესები კი მოითხოვდა ხელშეუხებელი ყოფილიყო თავისუფალი ვაჭრობა და დაცული ყოფილიყო საწარმოვო დარგში კერძო-უფლებრივი დამოკიდებულებები. ამიტომ გასაკვირი არ არის ის შემთხვევა, რომ დროებითი მთავრობის სასურსათო პოლიტიკაც ისე დამარცხდა, როგორც მეფის მთავრობის სასურსათო პოლიტიკა.

საგულისხმოა, რომ დროებითი მთავრობის უკანასკნელი სიტყვა სასურსათო პოლიტიკაში იყო—მუქარა, რომ ის ძალას იხმარს სოფლიდან პურის გამოსატანათ. დროებითი მთავრობის პოლიტიკა იმითივე დათავდა, რითაც მეფის მთავრობის პოლიტიკა—ესე იგი მუქარით. მაგრამ არც დროებით მთავრობას და არც მეფის მთავრობას არ დასცლია განეხორციელებია თავისი მუქარა.

სასურსათო კითხვა გადიქცა ძლიერ დახლართულ ეკონომიურ და პოლიტიკურ კვანძათ, რომლის გაჭრა შეეძლო მხოლოთ იმ კლასს, რომელიც დაინტერესებულია ძველის დანგრევაში და ახალის, სოციალურ-პოლიტიკურ ცხოვრების შექმნაში, მხოლოდ ამ კლასს შეეძლო თავისუფალ ვაჭრობასა და თავისუფალ მეტოქეობისათვის დაეპირდაპირებია სახელმწიფოს იძულებითი ძალა სიმშილობასთან საბრძოლველათ. ასეთი კლასი იყო მუშათა კლასი, რომელმაც გლეხობასთან ერთად 1917 წლის ოქტომბერში ხელთ აიღო მთელი სახელმწიფოებრივი ძალა-უფლება. მუშათა კლასს არ ესაჭიროებოდა ანგარიში გაეწია, საზოგადოებრივი ჯგუფების მტაცებლურ მადისათვის, რომლებიც უსაზღვროთ მდიდრდებოდენ ომის გამო და ხალხის გაჭირვებით. რის გაკეთებაც ორგანიულათ ვერ შესძლეს ვერც მეფისა და ვერც დროებითმა მთავრობამ, ის სრულიად შესაძლებელი შეიქნა მუშათა და გლეხთა მთავრობისათვის.

ყველა საზოგადო, მასსიური მოსახმარი საქონელი უნდა აღწერილ და განაწილებულ იქნეს სახელმწიფოს მიერ შემდეგი პრინციპის მიხედვით: ვინც არ შრომობს, ის ვერც სჭამს. ყველამ უნდა მიიღოს ჩამორთმეულ ზედმეტ საქონელში სამართლიანი, მტკიცე საფასური; მსხვილი და საშუალო საწარმოვო დარგები უნდა ჩამოერთვას მეპატრონეთ და გადაეცეს სახელმწიფოს; კერძო ვაჭრობა უნდა გაუქმდეს. ასეთია საბჭოთა მთავრობის სასურსათო პოლიტიკა, რომელიც სიმშილობის წინააღმდეგ ბრძოლის ისტორიაში მესამე ხანათ ითვლება.

მუშების და გლეხების მთავრობის მოწინააღმდეგენი ამბობენ, რომ სასურსათო პოლიტიკის ახალმა კურსმა ვერ იხსნა რუსეთი სიმშილობისაგან. ეს—მართალია: ამ უკანასკნელ წლებში რუსეთში სიმშილობა უფრო გაძლიერდა, მაგრამ რა დასკვნა უნდა გამოვიტანოთ აქედან? ის ხომ არა, რომ ეს სასურსათო პოლიტიკა არ ემსახურება დამშეულ მცხოვრებლების ინტერესებს? ან და იქ კითხვათა რთული ნასკვი, რომელიც სასურსათო პრობლემას წარმოადგენს, ძლიერ დახრალთულია, და თვით კითხვები, რომლების წარმომშობი არის სასურსათო გამოცანა, არ არიან გადაწყვეტილი?

ყველასათვის ცხადი უნდა იყვეს, რომ სიმშილობა რუსეთში არ არის დამარცხებული, რადგან ეს ახალი საზოგადოებრივი წყობილება, რომელიც კაპიტალისტურ წყობილებას სცვლის, იბადება საშინელ, წარმოუდგენელ ტანჯვებით. ამ პირობებში სიმშილობის დამარცხება ეს იმას ნიშნავს, რომ ერთხელ და სამუდამოთ ბურჟუაზიის წინააღმდეგობის გატყდება იმპერიალისტურ ომის ყველა ნაშთები და მოისპოს აგრეთვე ახლანდელ გარდამავალ ხანის ყველა უმთავრესი უარყოფითი მხარეები გაჰქრეს და როგორც პოლიტიკური, ისე სამეურნეო ცხოვრება სულ ახალ საფუძვლებზე აეგოს.

ეს ისეთი კითხვაა, რომლის გადაწყვეტა მოკლე დროში შეუძლებელია. ამის გადასაწყვეტათ საჭიროა მთელი რიგი წლების შრომა.

ამ კითხვის სიძნელე იმითი რთულდება კიდევ, რომ რუსეთი რკინის რგოლშია მომწყვდეული, რომ რუსეთი წარმოადგენს მტრისაგან ალყა შემორტყმულ ციხე-სიმაგრეს. მუშათა და გლეხთა მთავრობას სჭირდება გმირული ძალღონის გამოჩენა თავის დასაცავათ.

საბჭოთა მთავრობის სასურსათო პოლიტიკა ეხლანდელი მომენტთან შედარებით უნდა დაფასებულ იქნას სულ სხვა თვალსაზრისით. უნდა შევეკითხოთ თავის თავს: რას მიიღებდენ მშრომელი მასსები იმპერიალისტური ომის მიერ შექმნილ პირობებში, რომ სახელმწიფო ძალა უფლება ქონოდა მემამულეთა ხროვას, რომ ეს ძალა უფლება ყოფილიყო ბურჟუაზიის ხელში?

თუ რომ თავისუფალ ვაჭრობას ვერ შესძლო თავიდან აეცილებია სასურსათო კრიზისის მომწიფება წინათ, როდესაც სახალხო მეურნეობა არ იყო ომის მიერ ძირ-ბუდიანათ შერყეული, მით უმეტეს ეხლანდელ პირობებში, როდესაც ფულმა დაკარგა ყოველივე ღირებულება და დიდ ნაკლებობაა საქონლის, შეუძლებელია შეჩერებულ იქნას სასურსათო კრიზისის ზრდა. ეხლანდელ პირობებში თავისუფალი ვაჭრობა უზრუნველ ყოფდა მხოლოდ გამდიდრების თავისუფლებას, გააუმჯობესებდა მქონებელ კლასებისათვის საქონლის მიწოდების საქმეს, მაგრამ მშრომელ კლასს კი თ ა ვ ი ს უ ფ ა ლ ი ვაჭრობა ვერასფერს მისცემდა. თუ რომ სახელმწიფო ძალა უფლება არ იქნება მუშების და გლეხების ხელში, იმ შემთხვევაში ყველაფერი, რასაც კი მწარმოებელი გამოიტანს ბაზარზე, წილათ ხვდება ბურჟუაზიას. შეძლებულ კლასებს ჩაუვარდებოდათ ხელში ის ნარჩენი საგნებიც კი, რომელიც ეხლა რუსეთს აქვს.

საბჭოთა მთავრობის სასურსათო პოლიტიკის ძირითადი მიზანი არის: მისცეს მუშებს, ღარიბებს და საშუალო გლეხებს ყოველივე ის, რის მიცემაც შესაძლებელია, მხოლოდ ბურჟუაზიას მისცეს იმდენათ, რამდენათ ეს არ ეწინააღმდეგება

## ევროპიელ-ამერიკელი და რუსი მუშა.

### IV.

როგორც დავინახეთ, კაუცკის აზრით არსად მუშათა კლასი არ არის ისე დაკნინებული პოლიტიკურად, ისე „გარყვნილი“ ბურჟუაზიულათ, როგორც ინგლისში. „გარდა ამერიკისო„, უმატებდა კაუცკი. ასე რომ ამერიკის მუშა მასსებიც მისი შეხედულობით იმავე დონეზე მდგარან, რომელზედაც ინგლისის მობურთავე, გაბურჟუებული, სოციალიზმის სასაცილოდ ამგდები ზედა ფენები პროლეტარიატისა, და მათი გამცემელი, თბილ ადგილებზე გამყიდველი გავლენიანი ბელადები.

კაუცკიმ მთელი გამოკვლევა უძღვნა ამერიკელი პროლეტარიატის დახასიათებას. ბურჟუაზიულ პროფესორ-ეკონომისტმა ვერნერ ზომბარტმა რამდენიმე გამოკვლევაში გააშუქა საკითხი, თუ რატომ სოციალიზმი ვერ იკიდებს ფეხს ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც კაპიტალიზმი უმწვერვალესად არის განვითარებული, ისე როგორც არსად დედამიწის ზურგზე. ზომბარტის ერთ ერთ თავის თავათ შესანიშნავ გამოკვლევას კაუცკი გამოეხმაურა 1906 წ. ყოველი მხრით ღირსშესანიშნავი ბროშურით, რომლის რუსულ თარგმანს სათაურათ აქვს: „ამერიკელი და რუსი მუშა“*). ეს ბროშურა ნამდვილი შედეგია მარქსისტული მეთოდის მოხმარების ისტორიულ და ეკონომიურ მოვლენათა ახსნა-განმარტების დროს, ნაწური იმ დიალექტიკის, რომელიც სულ უბრალოთ აღებს საზოგადოებრივი ცხოვრების ცხრაკ-ლიტულებს.

კაუცკის მთავარი მიზანია გამოიკვლიოს, თუ რაა მიზეზი იმის, რომ საზღაპროთ განვითარებული კაპიტალიზმის ქვეყანაში სამრეწველო პროლეტარიატი სავსებით გამეშჩანებული, ძირს დაცემულია, ხოლო ეკონომიურად უკან ჩამორჩენილ რუსეთში კი პროლეტარიატი ისეთ სიმაღლეზე დგას, რომ სხვა ქვეყნების მისაბაძ მაგალითს წარმოადგენს.

კაუცკიმ ჯერ კიდევ თავის „სოციალურ რევოლიუცია“-ში აღიარა, რომ სხვებთან ერთად ისიც სცდებოდა, როცა სამართლიანად მიაჩნდა თანამედროვე კაპიტალისტურ ხანისთვისაც მარქსის ცნობილი სიტყვები: „შენზე ითქმის არაკი ევროპა“, ე. ი. ინგლისის კაპიტალიზმის სურათი ევროპის მომავალის მომასწავებელიაო; სცდებოდა, ვინაიდან მე-70-ან წლებიდან მოკიდებული ინგლისი პირველობას კაპიტალიზმის განვითარებაში სხვა ქვეყნებს უთმობდა. ამ შრომაშიც კაუცკი ზომბარტთან ერთად აღიარებს, რომ მარქსის საზომი აღარაა დროის შესაფერი: მარქსი როცა იკვლევდა ინგლისის ეკონომიურ ცხოვრებას, ეს ქვეყანა მართლა წარმოადგენდა სამაგალითო სამრეწველო ქვეყანას, სადაც თანაბრად იყო განვითარებული კლასი კაპიტალისტებისა და კლასი პროლეტარების; ახლა კი არ არსებობს ისეთი თუნდა ეკონომიურად უაღრესად დაწინაურებული ქვეყანა, სადაც კაპიტალიზმის ყველა მხარეები თანაბრად იყოს განვითარებულიო. „არსებობს სწორედ ორი სახელმწიფო, რომლებიც ერთი მეორის სრულ წინააღმდეგობას წარმოადგენენ კაპიტალისტური წარმოების ორი ელემენტისაგან თითეულ ამ სახელმწიფოში შეუფერებელ სიდიდით—მათ ეკონომიურ განვითარების დონესთან შედარებით—განვითარდენ სწორეთ ერთი მეორის მოწინააღმდეგე ელემენტები: ამერიკაში — კლასი კაპიტალისტების, რუსეთში—კლასი პროლეტარების. „ამერიკაშიო—განაგრძობს კაუცკი—უფრო ადვილი დასანახია, ვიდრე სადმე სხვაგან, კაპიტალის დიქტატურა. წინააღმდეგ ამისა, არსად პროლეტარიატი არ სარგებლობს ისეთი მნიშვნელობით, როგორც რუსეთში და ეს მნიშვნელობა კიდევ უფრო იმატებს და უნდა იმატოს კიდეც, რადგან კლასობრივი ბრძოლა რუსეთში მხოლოდ ეს-ესაა დაიწყო, მხოლოდ ახლა იწყებს ფრთების გაშლას. ნემცების ეკონომიკა უფრო უახლოვდება ამერიკის ეკონომიკას; ნემცების პოლიტიკა უფრო უახლოვდება რუსების პოლიტიკას (იგულისხმება რუსეთის პროლეტარიატის პოლიტიკა. ნ. გ.). ამ გვარად ეს ორი ქვეყანა გვიჩვენებს ჩვენ ჩვენს მომავალს: მას სანახევროდ ექნება ამერიკული, სანახევროთ რუსული ხასიათი. რაც უფრო დაკვირებით შევისწავლით ჩვენ რუსეთს და ამერიკას, რაც უფრო უკეთესად ვეცდებით მათ გაგებას, მით უფრო ნათლად წარმოგვიდგება ჩვენი საკუთარი მომავალი. მარტო ამერიკის შესწავლა მიგვიყვანდა ჩვენ ისეთივე შემცდარ დასკვნებამდე, როგორც შესწავლა მარტო რუსეთის“.

ზოგიერთს ალბათ ეუცხოვება—ამბობს კაუცკი—რომ ჩამორჩენილ რუსეთის პროლეტარიატმა უნდა გვასწავლოს ჩვენ (ე. ი. გერმანელებს) პროლეტარული ბრძოლაო. „ეს თითქოს არ შეესაბამება ისტორიის მატარიალისტურ განმარტებას, რომლის მიხედვით ეკონომიური განვითარება წარმოადგენს საფუძველს ლიტიკური განვითარებისას. მაგრამ ნამდვილათ აქ შეუსაბამობა არსებობს მხოლოდ იმ მატერიალისტურ მოძღვრებასთან, რომელიც გამოიგონეს ჩვენმა მოწინააღმდეგეებმა და კრიტიკოსებმა (ე. ი. რევიზიონისტებმა, ოპორტიუნისტებმა და ბურჟუაზიულ კრიტიკოსებმა. ნ. გ.), მათ ეს თეორია წარმოუდგენიათ მჭამხარეულ შაბლონათ და არა კვლევის მეთოდათ. ისინი უკუაგდებენ ისტორიულ მატერიალიზმს იმიტომ, რომ არ შეუძლიათ მისი გაგება და საქმის სასარგებლოთ გამოყენება“. (გვ. 5).

ჩვენებურ ოპორტუნისტებს და თუთიყუშებს, რაღა თქმა უნდა, არაფრად ეპაშნიკებათ კაუცკის, „მათი კაუცკისა“ ასეთი სიტყვები. მარა შემდეგში უფრო გულმოსაკლავ აზრებს მოისმენენ კაუცკის პირიდან ინგლის-ამერიკის და რუსი მუშის შესახებ.

მეორე და მესამე თავში კაუცკი იკვლევს რუსეთში კაპიტალისმის აღორძინების ისტორიას—უკეთ: კაპიტალიზმის ხელოვნურად დამყნის ისტორიას, და რუსეთის კაპიტალისტურ ურთიერთობათა თავისებურებას. ეს კვლევა საუცხოვო ნიმუშია მარქსიზმის მომარჯვების, დიალექტიური ნესტარის ამუშავების—მას უნდა გაეცნოს ყოველი მუშა, რომელსაც აქამდი არ ქონებია უმაღლესი სიამოვნება კაუცკის ბროშურა წაეკითხა, შეესწავლა.

მესამე თავში კაუცკი გაკვრით ახასიათებს ინგლისის კაპიტალიზმს, მის მონოპოლიურ უპირატესობის გაქრობას მე 80-იან წლებიდან მსოფლიო ბაზარზე და სხვათა შორის იხსენიებს ინგლისის მუშების გაშეშებას პროფესიონალურ ვიწრო ფარგლებში ბრძოლის დონეზე. ეს მუშები იბრძვიან მხოლოდ ცალკე კაპიტალისტების წინააღმდეგ, ისინი ვერ ამაღლებულან მთელი კაპიტალისტური ექსპლოატაციის სისტემის წინააღმდეგ ბრძოლის შეგნებამდე. ბურებთან ომის დროს მათ არც ერთხელ არ გაუწიეს მედგარი წინააღმდეგობა შოვინიზმს; ზოგი სოციალისტი გუნდრუკსაც უკმევდა იმპერიალიზმსო; ინდოეთის კვნესა მათ ყურს არ ხვდება. ახალი მუშათა პარტია გარკვეულ პროგრამის გამომუშავებას გაურბის, ეშინია სოციალისტური ელფერი არ ექნეს მას, მუშათა ბელადმა კეირ-გარდიმ პოლემიკა აწარმოვა კლასობრივი ბრძოლის იდეის წინააღმდეგ...

„ამრიგად—სწერს კაუცკი—ინგლისში კაპიტალიზმი განვითარდა უმაღლეს წერტილამდე, ხოლო სოციალიზმის იდეია არსად ასეთ სიძნელეს არ ხვდება მუშებში გავრცელების დროს, როგორც სწორედ ამ ქვეყანაში, სადაც მთელი მშრომელი მოსახლეობის ო რ ი მ ე ს ა მ ე დ ი მრეწველობაშია ჩაბმული“.

„მით უფრო, შემაძრწუნებელი იქნება ინგლისის კაპიტალიზმის დამსხვრევა იმ მომენტში, როცა ყველა ქვეყნებში, ინგლისის კაპიტალის მოხარკეები, ამბოხდებიან ბ ხარკის გაცემაზე უარს იტყვიან. საკმარისია მხოლოდ ინგლისმა დაჰკარგოს ინდოეთი, ეგვიპტე, სამხრეთ აფრიკა, რომ მყისვე გაქრეს ის აუარებელი ზედ-მეტი ღირებულება, რომლითაც ახლა მდიდარია ის; მაშინ აუცილებელი შეიქნება სახელმწიფო გადასახადების უმძიმეს უღლის დადება მუშებზე, მაშინ წინააღმდეგობა შრომასა და კაპიტალს შორის ინგლისში გამწვავდება უმაღლეს წერტილამდე. თუ ადრე არა ყოველ შემთხვევაში, მაშინ მაინც აუცილებელი შეიქნება სოციალიზმის განვითარება ინგლისში. ამ ხანად კი სოციალიზმს იქ უხდება გაცილებით უფრო ძნელი ბრძოლა, ვიდრე სხვა, უფრო ჩამორჩენილ, ქვეყნებში“ (გვ. 25—6).

როგორც ვხედავთ კვლავ, სწორედ რუსეთის კომუნისტების „აღმოსავლეთური პოლიტიკაა“ განვითარებული კაუცკის ამ სიტყვებში. მარა გადავიდეთ შემდეგ თავებზე, სადაც კაუცკი ახასიათებს, სხვათა შორის, ამერიკის მუშებს.

საუცხოვოთ აქვს კაუცკის დასაულებული ამერიკის მუშათა კლასის თავისებურებათა გამომწვევი მიზეზები. ამასაც უსათუოდ უნდა გაეცნოს ყოველი თანამედროვე მუშა მკითხველი.

კაუცკი ვერ ხედავს ამერიკის პროლეტარიატში იმ „რევოლიუციურ რომანტიკას“, რომელსაც დასცინოდენ ოპორტიუნისტები რევოლიუციონური მარქსიზმის წარმომადგენლებში, და რომელსაც კაუცკი ბლომათ ხედავს რუსეთის მუშებში (იხ. აგრეთვე მისი „Анти-Бернштейнъ“). მიუხედავათ იმისა, რომ ამერიკა ყველზე უფრო თავისუფალი და „დემოკრატიული“ ქვეყანა არისო, აქ პროლეტარიატი ვერც კი გამოეყო კლასობრივათ უძლიერეს კაპიტალისტთა კლასს: „ამერიკის ხალხის მასსების დაყოფა—მათი მედრეკილების მიხედვით—შესაძლებელია არა კაპიტალისტებად და პროლეტარებად, არამედ ისეთებად, რომლებიც უკვე კაპიტალისტები გამხდარან, და ისეთებად, ვისაც ჯერ მხოლოდ სურვილი აქვს კაპიტალისტად გახდომის“. მიუხედავათ იმისა, რომ ამერიკაში არსებობს უკიდურესი ინტერესთა წინააღმდეგობა კაპიტალისტებსა და პროლეტარებს შორის, ამ უკანასკნელთ შემთხვევაც კი არ ქონებიათ მთელი არსებული წესწყობილების გამოკვლევის და მის წინააღმდეგ გალაშქრების, მათ აინტერესებთ მხოლოდ სახელმწიფოს და საზოგადოების ორგანიზმის ცალკე მხარეები—სხვა ყოველივეს ისინი მოცლილ ხალხის საქმედ სთვლიან, რითაც სიხარულით ავსებენ ჩვენს „პრაქტიკებს“... „ამ რიგად გარკვეულ პროლეტარულ კლასობრივ თვითშეგნების აღორძინება და მაღალი მიზნების წამოყენება უკიდურე-

---

*) რუსულ ენაზე არის სამი სხვადასხვა გამოცემა. ჩვენ ვსარგებლობთ ე. გორსკაიას გამოცემით.

მუშების და გლეხების ინტერესებს. ამ გვარათ კითხვის გადაწყვეტა ყოვლად შეუძლებელი იქნებოდა თუ უარვყოფდით საბჭოთა მთავრობის სასურსათო პოლიტიკის ძირითად საშუალებებს.

დეე საბჭოთა მთავრობამ აძლიოს ცოტა მუშებს და გლეხებს! მაგრამ, ცხადია, რომ ის აძლევს ყველაფერს, რაც მას მოეპოება და არავითარ მთავრობას მეტის მიცემა არ შეუძლია.

არ შეიძლება არ აღინიშნოს ის მთავარი კითხვა, რომელიც არის სასურსათო პოლიტიკის მთავარი, მამოძრავებელი ღერძი. ეს კითხვა არის პურის კითხვა. გლეხობისაგან პურის გამოტანა დიდ სიძნელის წარმოადგენდა, რადგან ფულმა დაკარგა ყოველივე თავისი ღირებულება, აგრეთვე საბჭოთა მთავრობას არ ქონდა სოფლისათვის გადასაცვალი საქონელი. საბჭოთა მთავრობამ შესძლო ის, რაც ვერ შესძლო ვერც მეფის და ვერც დროებითი მთავრობამ. სახელდობრ, მან შესძლო—პურის ბევარის შემოღება და მისი ცხოვრებაში გატარება. 1917—1918 წლის 10 თვის განმავლობაში საბჭოთა მთავრობის სასურსათო ორგანოებმა შესძლეს მხოლოდ სოფლიდან 30 მილიონი ფუთი პურის გამოტანა, დამშეულ მცხოვრებლებისათვის; 1918—1919 წელს ერთი წლის განმავლობაში, გამოტანილ იქნა სოფლიდან 110 მილიონი ფუთი პური. 9 თვის განმავლობაში 1919 წლის 1 აგვისტოდან—1920 წლის 1 მაისამდის დამზადებული იყო გამოსატანათ 165 მილ. ფუთი პური.

გლეხისაგან პურის მიღება—ეს მეტათ ძნელი საქმეა. თუ რომ საბჭოთა მთავრობამ შესძლო ამ კითხვის გადაწყვეტა და ეხლა, შეიძლება ითქვას უფრო უკეთ არის საქმე, აქედან ის დასკვნა უნდა გამოვიყვანოთ, რომ ამ მთავრობის მიერ არჩეული სასურსათო პოლიტიკის გზა, მეთოდი ერთად-ერთი სწორი გზა და მეთოდია. სიმშილობა მსოფლიო მოვლენათ ხდება. ყველგან ბურჟუაზიული თავრობები ცდილობენ ებრძოლონ სიმშილობას ისეთი საშუალებებით, როგორითაც იბრძოდა რუსეთის გაბატონებიული კლასი. ასეთი საშუალებები ვერ აკმაყოფილებს მუშებს და იწვევს მათში მღელვარებას.

რუსეთში მუშათა კლასმა ყველაზე პირველად აიღო ძალა უფლება ხელში. ის პირველი შეუდგა მძიმე საქმის კეთებას, გადალახა ჯერ არ გაგონილი დაბრკოლებები, იბრძვის მომავალ გაჭირვების თავიდან ასაცილებლათ და ეხლანდელი სიმშილობის შესამსუბუქებლათ ბურჟუაზიის ხარჯზე. ყველა ქვეყნის მუშები ეხლა ძალა უფლებისათვის იბრძვიან. სასურსათო კრიზისთან საბრძოლველად ისინიც იმავე გზას აირჩევენ, რა გზასაც ადგიან რუსეთის მუშები. ამით სიმშილობა დაძლეულ იქნება ყველა ქვეყნებში.

ა. სვიდერსკი.

სად ცუდი პირობები დაურჩა შეერთებულ შტატებში". ყველაფერი ემორჩილება პრაქტიკულ მოსაზრებას, „მეტი თუ ნაკლები" გამორჩენა ამ წუთში, ახლავე —აი რა კითხვა ამოძრავებს ამერიკის მუშას, კაპიტალისტურ წყობილების საფუძვლის შერყევაზე ის სულაც არ ფიქრობს „რეალ-პოლიტიკოსებმა კაპიტალიზმისა ესწრაფვიან მხოლოდ წუთიერ სარგებლობას, ესევე სჩვევია პროლეტარიატის რეალ-პოლიტიკოსებსაც, როცა ისინი თავისუფალი არიან მოქალაქობრივ და რევოლიუციურ აზროვნებისაგან, ე. ი. როცა ისინი არ ისწრაფიან დიად და ბრწყინვალე მომავლისაკენ."

„ამერიკის პროლეტარიატის რეალ-პოლიტიკოსები ყოველთვის კმაყოფილდებიან „პრაქტიკული" მოთხოვნებით. მათ სულ ადვილად აიტაცებს ხოლმე ეს მოთხოვნები, მარა თუ გამოირკვა, რომ შეუძლებელია მათი სურვილების უცბად განხორციელება, უცბადვე ეკარგებათ ხალისი." „სწორედ რაიმე „რევოლიუციური რომანტიკის" უქონლობის გამო, სწორედ იმის წყალობით, რომ რეალური პოლიტიკის ქვენა ინტერესებით გაჟღენთილი არიან, შეერთებულ შტატების მუშათა მასსების ახლანდელი პოლიტიკა ისეთი მერყევი და არამუდმივია, როგორც თავისი ძლიერებით ისე მიმართულებითაც, რომ უფრო ადვილათ, ვინემ სხვა რომელიმე ქვეყანაში, განიცდის გავლენას დემაგოგებისა და ტუტუცებისას."

აი რა შორს წასულა ის „კაპიტალისტური მოწამლვა მუშების." რისი მაგალითები კაუცკის შრომაში ჭარბად არის მოყვანილი ზომბარტის გამოკვლევიდან. ჩვენ ვერ გავაცნობთ მათ მკითხველს, რადგან ისედაც გაგვიგრძელდა წერილი. დედანში გაეცნოს მკითხველი და დაინახოს, როგორ ყოფილა სოციალიზმის საქმე ამერიკის შეერთებულ შტატებში, იმ ქვეყანაში სადაც არსებობს ათეულ წლების განმავლობაში: „სრული დემოკრატია, უაღრესი თავისუფლება ორგანიზაციების და ბეჭდვის, სრული თანასწორო ბა[...]უფლებებში" (გვ. 92) გაეცნოს, მხოლოდ [...]კოდეს, რომ გული აერევა.

ნ. გექტორი.

# ბიულეტენი პრესბიუროსი

**რ. ს. ფ. ს. რ. წარმომადგენლობისა საქართველოში.**

**ბელორუსიის საბჭოთა რესპუბლიკა.**

**მოსკოვი**, 14 აგვ. გამოქვეყნებულია დეკლარაცია, რომლითაც აღიარებულია ბელორუსიის დამოუკიდებელი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა. სხვათა შორის დეკლარაციაში სწერია: „ვეყრდნობით მშრომელი ხალხის ნება სურვილებს, რომელიც გამოხატა მან (ხალხმა) საბჭოთა ყრილობაზე 1919 წლის თებერვალში, აგრეთვე დასავლეთ ფრონტის წითელი არმიის სამხედრო რევოლიუციონური საბჭოს თანხმობით და აჯანყებულ მუშების და გლეხების სახელით გამოცხადდა დამოუკიდებელი საბჭოთა სოციალისტური ბელორუსიის რესპუბლიკა. ბელორუსიის მთავრობის ყველა კანონები და განკარგულებები კერძო საკუთრების აღდგენაზე გაუქმებულია. მიწაზე კერძო საკუთრების უფლება გაუქმებულია სამუდამოთ. ბელორუსიის „უუმაღლესი რადა" და ყველა თეთრგვარდიელ-მემამულეთ და ბურჟუაზიული მთავრობები გადაყენებულია. ბელორუსიის საბჭოთა რესპუბლიკა რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკას უცქერის, როგორც თანასწორს და თავის ჯარს უქვემდებარებს საბჭოთა რუსეთის ერთიან სარდლობას. დიპლომატიურ კითხვებშიაც ბელორუსიის საბჭ. რესპ. რესპუბლიკასთან. ყველა ეროვნებები თავისუფალი არიან. ბელორუსიის საბჭოთა ყრილობის მოწვევამდის, ძალა-უფლებას იღებს ხელში ბელორუსიის სამხედრო რევოლიუციონური კომიტეტი. კომიტეტის შემადგენლობა: კომუნისტები: ლიტბელი, ჩერვიაკოვი, კნორინი, ადამოვიჩი; და სხვა.

**ამხ. ტროცკი და გიტტისი ეკატერინოდარში.**

**ეკატერინოდარი**, 22 აგვ. ამ ხანათ ეკატერინოდარში იმყოფება ამხ. ტროცკი და კავკასიის ფრონტის სარდალი ამხ. გიტტასი.

**დამატებითი ცნობები.**

**29 აგვის. სამხედრო ოპერატიული რადიო-ცნობა.**

**პოლონეთის ფრონტი.**

**მოსკოვი**, 30 აგვისტო. **ბრესტ-ლიტოვსკის რაიონში** ჩვენ დავიკავეთ რამდენიმე სოფელი ბრესტ-ლიტოვსკის აღმოსავლეთით ექვსი ვერსის მოშორებით.

ვლოდავის და გრუბეშოვის რაიონში სწარმოებს ადგილობრივი ხასიათის ბრძოლები.

**ლვოვის რაიონში** სწარმოებს მედგარი ბრძოლები.

**ყირიმის ფრონტი.**

**ორეხოვის რაიონში** 28 აგვისტოს ბრძოლაში ჩვენ წავართვით მოწინააღმდეგეს 150 ტყვე, 11 ტყვიისმფრქვეველი და 4 ზარბაზანი.

**მალონის აზრი პარლამენტის მუშაობის შესახებ.**

**რეველი**, 19 აგვ. ინგლისის დამოუკიდებელ ლიბერალებმა განმარტება მოსთხოვეს პარლამენტის წევრს პოლკ. მალონს ბრიტანიის სოციალისტური პარტიასთან მისი დამოკიდებულების შესახებ. მალონმა ოფიციალურ წერილში განაცხადა: „მე შეველი პარლამენტში არა პარტიული ჯგუფის სამსახურისათვის, არამედ იმიტომ, რომ სამსახური გამეწია ხალხისთვის. მე იმედი მქონდა მომეპოვებია ხალხისთვის უკეთესი სოციალური პირობები. რამდენათ კითხვა ეხება სოციალისტურ წყობილების ძირითად მიზნებს, მე დავრწმუნდი პარლამენტარული მუშაობის უნაყოფობაში. პარლამენტარული მუშაობა და არჩევნები შეიძლება გამოყენებულ იქნას მხოლოთ რევოლიუციონურ პროპაგანდის გასაძლიერებლათ. მე თუ დავტოვებ პარლამენტს, მხოლოდ იმისთვის, რომ ვიმუშავო კომუნისტურ პარტიის რაზმებში. თუ ოდესმე დავბრუნდები პარლამენტში—მხოლოდ წითელ გვარდიასთან ერთად, რევოლიუციის დროს, რომლის მოახლოება მე ღრმათ მრწამს".

**პოლონელებს საქონელს არ უგზავნიან.**

**ვერხნეუდინსკი**, 19 აგვ. შორეულ აღმოსავლეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს თხოვნით მიმართა ერთ პოლონელ სავაჭრო ფირმამ, მიეცათ მათთვის ნება ვერხნეუდინსკიდან გაეტანა მატყლი: შორეულ აღმოსავლ. რესპუბლიკის საგარეო სამინისტრომ უარით უპასუხა პოლონელ სავაჭრო ფირმას. უარს ასაბუთებდა იმითი, რომ პოლონეთი ომს აწარმოებს მის (შორ. აღმ. რესპ.) მეზობელ, საბჭოთა რუსეთის რესპუბლიკასთან და ამიტომ მას გარანტია არ აქვს, რომ ეს საქონელი არ იქნება გამოყენებული პოლონეთის ჯარის საჭიროებისათვისო.

## უკანასკნელი ცნობები

**28 აგვისტოს სამხედრო ოპერატიული რადიოს ცნობა**

**მოსკოვი**, 29 აგვ. ჩვენმა ნაწილებმა დაიკავეს სადგ. ვალ[...]ლი და მთელი რიგი ადგილების ვოლკოვისკი ბელოსტოკის რკინის გზის ორივე ნაპირებზე. ჩვენ დავიკავეთ: სადგ. ბელოვეჟი, ნარიოვკა და მდ. ლესნოის ორივე მხარეზე ადგილების მთელი რიგი.

**ჩვენი შეტევა გრძელდება**

**ვლოდავის რაიონში** ადგილობრივი ხასიათის შეტაკებებია. ჩვენმა ნაწილებმა დაიკავეს რამოდენიმე პუნქტები შრუ[...] ჩრდ[...] აღმოსავლეთით. ჩვენი ნაწილები განაგრძობენ მტრის დევნას.

**ლვოვის რაიონში** ცვალებადი ხასიათის ბრძოლებია. ორეხოვის რაიონში ბრძოლები ჩვენი სასარგებლოდ გრძელდება.

**აზოვის ზღვის ნაპირას**

ტიმოშევსკის დასავლეთით რაიონში გადმოსხმული დესანტი ჩვენ სასტიკათ დავამარცხეთ.

ბრძოლის დროს ჩვენ წამოვიღეთ 1 ზარბაზანი, 2 ტყვიისმფრქვეველი და სხვა სამხედრო დავლა.

**ყუბანზე.**

**ეკატერინოდარი**, 22 აგვ. ჩვენმა ჯარებმა დაიკავეს მტრის დესანტის გადმოსასვლელი ადგილი—პოს. ახტარსკი. ვრანგელის დესანტი გარშემორტყმულია და თავს იყრის ნოვონიიჟეს ტებლიევის და სტარო-ჯერელიევსკის რაიონში. ჩვენი ჯარი ისე მჭიდროთ შემოერტყა მტრის დესანტს, რომ თუნდაც უმნიშვნელო მტრის დესანტის ნაწილს არ შეუძლია გავიდეს ჩვენი ჯარის რკალიდან.

# ზღვა.

ზღვა ისევ ღელავს. მუდამ მოძრავი
ასე ადვილათ ის ვერ დაცხრება,
და მის ლურჯ მკერდზე, ვით მეომრები,
ისევ გაშლილა ზვირთების კრება.
აწმყო ცხოვრებას ცხადათ გვიხატავს
დაუდეგარი ზვირთების სრბოლა,
ვით ცხოვრებაში, აქაც ისეა
მოწინააღმდეგ ძალების ბრძოლა.
კაცთა ცხოვრების მატიანეზეც
ასევე მსჯელობს მემატიანე.
ზღვაც, ერთი სიტყვით, თითქმის ისაა,
რაც თვით ცხოვრების ზღვა ოკეანე.
სადაც ის გუშინ უძრავათ იდგა,
დღეს იქ უსაზღვრო ზვირთთ ჰიდილია,
ხვალ მის სარკეში ისევ იხატვის
ცხოვრების პროზა და იდილია.
დღეს, მაგალითად, კოცნა ალერსით
ელამუნება იგი ნაპირებს,
ხვალ პირზე დორბლით სცემს იმავ ნაპირთ
და მათ დანგრევას იგი აპირებს.
და სანამ მიზანს, ღელვით დასახულს,
ის არ მიაღწევს და არ მისწვდება,
მანამდის იგი გულს არ ჩაითხრობს,
მანამდის იგი არ დამშვიდდება.
ვდგევარ ზღვის პირში და თვალს ვადევნებ
ზვირთების კონცერტს, ქარის არიებს,
ამ წლის სცენაზე გიჟივით რომ რბის
და წინც რომ წლის მთას აიფარიებს.
ვდგევარ, ვუმზერ და ასე მგონია,
რომ ბრძოლის მდელოს ვადევნებ თვალებს,
და აქეთ იქით ფიქრით ვამწკრივებ
ერთი მეორის შემმუსრავ ძალებს.
ფიქრი მიტაცებს და ვამბობ ჩემთვის:
„მართალი არის მემატიანე:
მებრძოლ ტალღების უსაზღვრო ჯაჭვათ
გაშლილა ჩემ წინ ზღვა-ოკეანე"!..
ა, იქ ხომ ადგა პირველი ტალღა
და რომ მიაწყდა იგი ნაპირებს,
მაშ ქარი ისევ რაღათ შლის ფაფარს
და ასე მკაცრათ ზღვას რათ აყვირებს?
იმ პირველს ეხლა სხვა დაედევნა,
უფრო ძლიერი! უფრო მედგარი!
აი რათ ყვირის ზღვა ისე მკაცრათ!
აი რა მიზნით უბერავს ქარი!...

ნ. ზომლეთელი.

# ახალი ამბები

**სამგლოვიარო წერილი.** გულ დათუთქული ამხანაგები, ვაუწყებთ ჩვენს შორეულ ამხანაგებს უდროვოდ გარდაცვალებას დაუღალავ მებრძოლ ამხანაგ რაჟდენ ზამთარაძისას, რომლის დაკრძალვა და უკანასკნელი გამოთხოვება მოხდა 27 აგვ. დღისით 2 საათზე. მაგრამ ჩვენ მაინც არ ვდრკებით თუმცაღა ასეთ ამხანაგებს ბევრს გკაცლის ხელიდან ულმობელი სიკვდილი და არსებული უსამართლოება. ჩვენ, ამხანაგები, ფიცსა ვზდებთ შევებრძოლოთ ყოველივე უსამართლოებას და ვერაგობას მხოლოთ კი დაარსდეს ქვეყანათ კაცთ სიყვარული და სათნოება.

კომ. პარტ. ეწრის თემის (ქუთ. მაზ.) იაჩეიკის ამხანაგების მონდობ. **ვასიკო კაკაბაძე.**

— **სამგლოვიარო დეპეშა** სომხეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი ღრმა თანაგრძნობას უცხადებს ტრაღიკულათ დაღუპულ ამხ. სტეფანეს ოჯახს. დაუვიწყარ ამხანაგის სტეფანეს ხსოვნა დაუვიწყარი იქნება სომხეთის პროლეტარიატის და ღატაკ ხალხისთვის, მის წმინდა საქმისთვისაც მან დასდო თავი. დეე იყოს თქვენს ნუგეშათ ის შეგნება, რომ ის იდეალი, რომელიც გწამს და რომლისათვისაც გმირულათ დაიღუპა ამხანაგი სტეფანე, მალე, სულ მალე გამარჯვებას იდღესასწაულებს სომხეთი. გამარჯვეული მუშათა კლასი ნახავს ამხ. სტეთანეს და მის თანამებრძოლთა საფლავს და თავის რევოლიუციონური პატივსაცემათ მოიხსენიებენ მას.

— **ჰიდრო-ელექტრონული სადგური ხონში.** შინაგან საქმეთა სამინისტრომ გადასწყვიტა დააკმაყოფილოს ქ. ხონის შუამდგომლობა ჰიდრო-ელექტრიულ სადგურის ასაგებათ 12 მილიონ მანეთის სესხის მიცემის შესახებ იმ პირობით, რომ ამ სადგურით ისარგებლოს ქალაქის სამრეწველო დაწესებულებებმა და მცხოვრებლებმა. სათანადო პროექტი განსახილველათ წარედგინება მთავრობას.

## ამხ. რაჟდენ ზამთარაძის ხსოვნას.

ულმობელმა სიკვდილმა გამოგვტაცა ხელიდან ახალგაზრდა, საუკეთესო მებრძოლი ამხანაგი რ. ზამთარაძე. მას არ დასცალდა კომუნიზმის წითელი დროშა მიეტანა საბოლოო გამარჯვების კარებამდის. ამით დიდათ დაგვამწუხრა მისი ამხანაგები. ვინ იყო რაჟდენი? ის არ იყო დიდი, თეორიული ცოდნის იარაღით აღჭურვილი, ის ს. ეწრის (სამტრედიის რაიონის) უბრალო ღარიბ გლეხის შვილი იყო. ხელობით ზეინკალი. ის თავისი მდგომარეობით, ინსტიქტიურათ გრძნობდა, რომ მასავით ღარიბ ხალხის ინტერესების საუკეთესო დამცველი არის კომუნისტური პარტია. ამიტომაც იყო ქ. სამტრედიაში ორგანიზაციის დაარსებიდანვე (1917 წ.) ის ჩაეწერა ჩვენს პარტიაში და დაუღალავათ მუშაობდა ჩვენთან ერთათ. მას ჰქონდა საუკეთესო იარაღი—რევოლიუციონური ბრძოლის დაუშრეტელი ენერგია, ამ ფრონტზე ის ყოველთვის პირველ რიგში [...] არ იცოდა რა იყო დაღლილობა.

ჯერ კიდევ 1918 წლის დამდეგს სხვა ამხანაგებთან ერთად ბათუმში გაემგზავრა და ჩაეწერა „ცენტროფლოტთან" არსებულ ბოლშევიკურ საზღვაო რაზმში. რაჟდენი იქ საუკეთესო ამხანაგად ითვლებოდა. სიცოცხლის უკანასკნელ წუთებამდის ის არ მოსცილებია ჩვენს პარტიას და გმირულათ იტანდა ყოველივე მის გაჭირვებას ამ უკანასკნელ დროის უთანასწორო ბრძოლის ქარცეცხლში.

ულმობელმა სენმა არ დააცალა მიემკო ბრძოლის ნაყოფი, მოსწრებოდა მისი იდეების განხორციელებას. ერთი თვე ლოგინათ ჩავარდა. ის გრძნობდა სიკვდილის მოახლოვებას, გული წყდებოდა, არ უნდოდა მოგვცილებოდა ჩვენ, მას ამხანაგებს. როდესაც მასთან ვიყავით, მაშინ მას ტკივილები აღარ ახსოვდა, არ აწუხებდა. მხოლოდ ამას გვეკითხებოდა, თუ როგორ მიდის პარტიული მუშაობის საქმე, ხომ არ გვიშლიან ხელს თავისუფალ აშკარა მუშაობაში და სხვა. ამ ფიქრებით დახუჭა თვალები სამუდამოთ. ხალხი უყვარდა ამხ. რაჟდენს და ხალხმა სამაგიეროდ პატივი სცა მას დასაფლავების დღეს. დასაფლავება მოხდა სამოქალაქო წესით. ს. ეწერის საზოგადოებას არ ეუცხოვა ის, რომ ამხ. რაჟდენის ღარიბულ სახლზე ფრიალებდა საეკლესიო ბაირაღის მაგიერ წითელი რევოლიუციონური და ერთიც სამგლოვიარო დროშები. არ ისმოდა არც მღვდელ-დიაკონის ღაღადისი. ამხანაგ-თანამგრძნობნი და ნაცნობ-მეგობრები ბევრი დაესწრო დასაფლავების დღეს. ყველანი გულდათუთქული დასტიროდენ ამხანაგის გვამს. დაესწრო დასაფლავებას ქ. სამტრედიის რაიონულ კომიტეტის წარმომადგენელი და აგრეთვე სამტრედიის რაიონის იაჩეიკების წარმომადგენლები. მგრძნობიერ შთაბეჭდილებას სტოვებდა ერთი პატარა სამგლოვიარო პროცესია. პროცესია შესდგებოდა ეწრის თემის სპარტაკელ ორგანიზაციის ახალგაზრდა ქალ-ვაჟთა წევრებისაგან და აგრეთვე სხვა თანამგრძნობთაგან. პროცესიას წინ მოუძღოდა ჩვენი ძველი მებრძოლი ამხანაგის რაჟდენ კალაძის პატარა ბავშვები გვირგვინებით და ვარდ-ყვავილებით. მუსიკა განუწყვეტლივ უკრავდა სამგლოვიარო ჰიმნს. დასტიროდენ ამხ. რაჟდენ ზამთარაძის უდროვოდ შემოკლებულ სიცოცხლეს. მშვიდობით ამხ. რაჟდენ! სამწუხაროა შენი დაკარგვა ჩვენთვის, რადგან შენით საუკეთესო მებრძოლი ამხანაგი დავკარგეთ.—ჩვენ გვწამს, რომ გავიმარჯვებთ და ამიტომაც გვინდოდა გამარჯვების [...] ყავ. ეხლა მხოლოდ ისღა დაგვრჩენია, რომ გამარჯვების დღეს მხოლოდ შენს ყრუ საფლავს ჩამოვსძახოთ: ჩვენ გავიმარჯვეთ, კომუნიზმის წითელი დროშა სამშვიდობოს მივიტანეთ თქო.

**სამტრედიელი ამხანაგთაგანი.**

# დეპეშები

(ს. დ. ს.)

**მოსკოვი ც. ა. კ. ბ. ბ. ბიულეტენი**

შესდგა კრასნოპრესნენის რაიონის კრება. კრებაზე განაცხადეს, რომ აღნიშნულ რაიონიდან ფრონტზე 120 კომუნისტი მატარებლით მიემგზავრება. ამ ფრონტზე გამგზავრებულნი წაიყვანა იმ მატარებელმა, რომელიც ნიკოლოზის რკინის გზის პირველ რაიონის კომუნისტებმა გააკეთეს. ამ მატარებლის გასაკეთებლათ მუშები ყოვე დღე ზედმეტ სამი საათის სამუშაოს ასრულებდენ.

**მოსკოვი**, 20. აგვისტო. მინსკში რუსულ-უკრაინის პოლონეთის დელეგატებს შორის მოლაპარაკება გრძელდება. საბჭოთა მთავრობის მიერ წაყენებული პირობები პოლონეთის დელეგაციამ მიუღებლად აღიარა. ამაზე რუსეთ-უკრაინის დელეგაციამ უპასუხა. პოლონეთის საზაოპირო ბები ჩვენ არ ვიცით. ისინი უარყოფენ მხოლოთ რუსეთის პირობებს. ჩვენი წინადადება უკანასკნელი არ არის, ჩვენ ზავი გვინდა. ჩვენ პოლიტიკას არ ვსცვლით იმისდა მიხედვით, თუ როგორია მდგომარეობა ფრონტებზე, ვინაიდან ჩვენთვის ეს ომი არის ზავისათვის ომი, მოლაპარაკება გრძელდება.

**სრულიად რუსეთის აღწერა.** დღეს მთელ საბჭოთა რუსეთში აღწერა დაიწყება, ამ აღწერის მიზანია არა მარტო მცხოვრებთა რიცხვის გამორკვევა, არამედ ყველა იმისა რაც მუშათა და გლეხთა რესპუბლიკას გააჩნია, აღწერის მიზანია გამორკვევა პროლეტარულ მეურნეობის ხასიათისა, ფაბრიკა და ქარხნების მდგომარეობისა და მთელი მცხოვრებთა პროფესიის და მოქმედების, ჩვენ, როგორც კარგმა მამასახლისმა, უნდა ვიცოდეთ მთელი ჩვენი ქონება. დაეხმარეთ აღწე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაზე მომუშავეთ, მიეცით მათ საშუალება გაიცნონ საბჭოთა რესპუბლიკის ნამდვილი მდიომარეობა.

პოლონელებსა და ვრანგვლის ბანდების შორის მტკიცე კავშირი არსებობს. როგორც კი პოლონელები შეტევაზე გადმოვიდა, ვრანგელიც გამოცოცხლდა. მისი მიზანია სამხრეთის ფრონტიდან აღმოსავლეთ ფრონტზე ჯარების გადაყვანაში ხელი შეგვიშალოს. დასავლეთით და სამხრეთით ჩვენ ერთი მტერი გვყავს. ჩვენ ორივე ერთად უნდა გავანადგუროთ. ამხანაგებო დაეხმარეთ სამხრეთის და დასავლეთის ფრონტებს.

სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. კალინინი „ოქტომბრის რევოლიუციის" მატარებლით დონის ოლქში მოგზაურობს. კალინინის მიტინგებზე გამოსვლას ხალხი დიდ ყურადღებას აქცევს. ამხანაგი კალენინი ყაზახებს დიდხანს ესაუბრება, ბაასი პურის განაწილებას ეხება.

**მოკავშირეების წინადადება.**

ინგლისმა, იტალიამ და საფრანგეთმა წინადადება მისცა პოლონეთის მთავრობას არ წარუდგინოს საბჭოთა რუსეთს დიდი მოთხოვნილებანი და მოკავშირეთა მიერ წინასწარ განსაზღვრულ ხაზს არ გასცილდენ. ასეთივე დარიგება მისცა პოლონეთს ამერიკის შეერთებულმა შტატებმა; საფრანგეთის გაზეთები სწერენ, რომ თუ საბჭოთა რუსეთი არ დასთანხმდა ზავზე, მაშინ მოკავშირეები ბლოკადას გააძლიერებენ, გააგზავნიან გემებს დანციგში, მოაწყობენ სამხედრო ექსპედიციას და ბოლშევიკების წინააღმდეგ საბრძოლველად პოლონეთის ყველა მეზობელ სახელმწიფოს გააერთიანებსო.

# სოფელი და მიწის მუშა

**სოფელ ახალ ხიბულა (ზუგდიდის მაზრა).**

ხიბულის რაიონის მიწის მუშების დიდი ნაწილი უკიდურეს გაჭირვებაში იმყოფებიან. დიდი ხანია ზოგიერთ ღარიბ ოჯახებში კვირაში ერთხელაც სადილ-ვახშამი არ გაკეთებულა.

ფასი ფუთ სიმინდზე 1800 მანეთამდე აიწია, ვინაიდან სპეკულიაცია გამეფებული.

ამიტომ სიმინდის უქონლობის გამო გახშირდა სიძულვილე ხშირათ ხილით იკვებებიან. ამნაირი გაჭირვებიდან ხსნა არსაიდან სჩანს, თუმცალა აქ სიმინდის მოსავალი წარსულ 1919 წელს კარგი იყო. ამას წინეთ ადგილობრივი ერობის გამგეობის წევრთან საუბრის დროს მან განაცხადა, რომ ავსწერეთ ჩვენს საზოგადოებაში სიმინდი და საყოფზე მეტი 8000—10,000 ფუთამდის არისო. მაგრამ საუბედუროთ ეს სანოვაგე, ახალ სენაკის და სხვა მაწანწალა ჩარჩებმა დაითრიეს. ღარიბი გლეხკაცობა კი უსიმინდოთ დარჩა. ახალი მოსავლის იმედი არ არის, ვინაიდან თვეზე მეტი გვალვები იყო და სიმინდი სულ დაიწვა. ამას ზედ ემატება ქურდობა ძარცვა გლეჯა, რომელიც საკმარისათ არის გამეფებული [illegible], ეს ხომ კი იხება, გარეგნულათ საზოგადოების თვალის ასახვევათ, როგორც ეს მოხდა მაგალითად 13 ამა აგვისტოს. ახალ ხიბულის კანცელარიაში, მობრძანდა ადგილობრივი რაიონის კომისარი ბატონი როდონაია, მოუყარა საზოგადოებას თავი და დაიჭირა ათი კაცი ქურდობაში შემჩნეულნი. საზოგადოება ჯგუფად დააყენა, დაჭერილები გარშემო შემოატარა საზოგადოებას, და განაცხადა, რომ ამათ თავს აწი ვერ ნახავთ ციხეში უნდა ჩავალპოვო. და გააგზავნა თავის რაიონულ კანცელარიაში. გავიხედეთ და მესამე თუ მეოთხე დღეს ესენი უკვე გამოეშვათ.

რომელნიც ნამდვილათ ქურდობას და ძარცვა-გლეჯას ეწევიან, ასეთებს საზოგადოების თვალასახვევათ ვითომ იჭირავენ და მეორე მესამე დღეს კი ისევ უშვებენ. ხოლო თუ ვისმეს შეამჩნიეს ბოლშევიკური პარტიის წევრობა და ორგანიზაციული მუშაობაში მონაწილეობის მიღება, მას ცემა ტყეპით აწვალებენ და კატორღით ემუქრებიან.

დროა ამისთანა საზიზღრობის ბატონ როდონაისას და მენშევიკების ცრუ აგენტებისას ბოლო მოეღოს.

**სიმართლის მოყვარე ინი.**

**ს ი ღ ნ ა ღ ი.**

**(მენშევიკების უკანასკნელი ცდა გლეხების მოსატყუებლად).**

22 აგვისტოს სიღნაღის გარეშე უბან ნუკრიან ქოტორ-მაღაროს იქმნა მოწვეული გლეხთა ყრილობა, სადაც უნდა ყოფილიყო მსჯელობა მიწის საკითხზე. მართლაც ჩვენი გლეხობა დაინტერესებული შეიკრიბა იმის გასაგებათ, თუ რას ეტყოდენ ჩვენი მენშევიკების წარმომადგენლები. მოლოდინი გაგვიმართლდა და ჩვენს წინაშე გამოიჭიმენ დამფუძნებელ კრების წევრი ს. ახმეტელაშვილი და სიღნაღის ერობის გამგეობის წევრნი რ. ახმეტელაშვილი და ი. კრაწაშვილი.

დაიწყო დამფუძნებელ კრების წევრმა და მიმართა გლეხებს: რუსეთი მთლად განადგურებულია. იქ არავითარი ადამიანური ცხოვრება არ არსებობს, იქ გლეხებისთვის არც მიწებია და არც სიცოცხლეო. ერთი სიტყვით, არ მოიძებნებოდა ისეთი საზიზღარი სიტყვა ბატ. ახმეტელაშვილის თავში, რომლითაც კი არ მოეხსენებინოს რუსეთის წეს-წყობილება და იქაური მშრომელ ხალხის უმწიკვლო სისხლით მოპოებული თავისუფლება. როდესაც გული იჯერა რუსეთის გინებით, შეეხო მიწის საკითხს ჩვენში და თამამად განაცხადა შემდეგი: „ვინაიდან ჩვენ ნასწავლი ხალხი ცოტა გვყავს და მაშასადმე მიწის მზომლებიც, ამისთვის ჩქარა ვერ ხდება მიწების გადმოცემა გლეხებზე, მაგალითადო დასავლეთ საქართველოში, იმერეთში გლეხებმა უკვე შვიდ-შვიდი დესეტინა ჩაიბარეს, რაც შეეხება ქიზიყ-კახეთს, რაწამს იქ განთავისუფლდებიან მიწის მზომლები მაშინათვე თქვენც მოგეზომებიათ და ჩაიბარებთო". ასე დაამბოლოვა ბატონ ახმეტელაშვილმა გლეხების დაპირება. რასაკვირველია, ყველასთვის გასაოცარი გახდა ის უტიფარი საქციელი დამფუძნებელ კრების წევრის, რომ მიწების შესახებ ხალხი შეკრებამ [illegible] რამდენიმე საათს.

თუ გინდათ, სიმართლეს ჩვენ მოგახსენებთ, ბ-ნო მენშევიკებო, თუ როგორ მიიღეს დასავლეთ-საქართველოს მშრომელმა ძმებმა შვიდ-შვიდი დესეტინა მიწა. ჩვენ ბევრ დასავლეთელ მოძმეებს ეხვდებით აქეთ, რომლებიც იძულებულნი არიან იმერეთში უმიწა-წყლობის გამო კახეთში გადმოსახლდენ. აი რას მოგვითხრობენ თავიანთ უსამართლოდ დატანჯულ ცხოვრებაზე: იგი გულახდილად ამბობს: დღემდის ჩვენი **ნოეს** აგენტები გვპირდებოდენ მიწას უფასოთ მიიღებთო, ისინი, რომლებიც გვეუბნებიან, მიწა იყიდეთო, ბერძუების მოყიდული აგენტებიაო. დღეს კი იგივე **ნოე** გვეუბნება, თუ მიწა გინდათ, გაიღეთ რამდენიმე ათასი მანეთი და მიიღებთო. აი უკანასკნელი მენშევიკური ბრძანება. ერთი სიტყვით, ჯერ დასავლეთის გლეხ-კაცობას არავითარი მიწა არ მიუღია, ეს ჩვენ კარგათ ვიცით და რაც შეეხება კახეთის მშრომელ გლეხობას იგივე უმიწა-წყლობაში გვხდება სული.

მაშ ნათელია ყველა ის ფანდები, რომლებსაც საერთოდ დღეს მენშევიკები ხმარობენ: ახმეტელოვ-კრაწაშვილების მეოხებით მათი ცდა არის აგვიხიონ თვალი და გვატყუილონ ისე, როგორადაც დღემდის. ჩვენ, ქოტორ-მაღაროს მშრომელმა გლეხობამ, კარგათ ვიცით, თუ როგორ ვყევართ დაბრიყვებული ძმათა კრაწაშვილებს. ეს გმირები არიან მოვლინებული ბატონებათ სიღნაღის თითქმის მთელ მაზრის. ყველაზე წინ მათი გუთნები გადის სახნავათ მინდორში და ირჩევენ იმ საუკეთესო მიწებს, რამდენიც მოესურვებათ; რომელ ჩვენგანს შეუძლია გებედოს სამართლიანი სიტყვის თქმა, მათ უფლება აქვთ, რაც უნდათ იმას მოიმოქმედებენ. გვეგონა რევოლიუცია მოხდა ჩვენთვის, შრომელთათვის, მაგრამ საუბედუროთ თავისუფლებაც და ის სისხლით მონაპოვარი მიწა-წყლებიც ერთ მუჭა სპეკულიანტების ხელშია.

რაც შეხება იმ მიწის მზომელებს, რომლებსაც მოუყვანას დასავლეთ საქართველოდან გვპირდებიან ბ-ნ ახმეტელოვ-კრაწაშვილები, ჩვენ კარგათ ვიცით, თუ რანაირი ფანდებიცაა ეს. ისიც ვიცით, რომ ბ-ნ ახმეტელოვებმა და კრაწაშვილებმა დიდი ხანია, რაც უკვე ოცობით დესეტინა საუკეთესო მიწები ალაზნის გაღმა ჭიაურში მოზომეს და დაიმკვიდრეს კიდეც ჩვენ ვერ გაგვიგია რისთვის იტკივებთ თავს? ეგ ისეთი ე ძალმომრეობას მიეწერება, როგორადაც ჩვენ, გლეხებს ბევრი რამ მოგვეპოვებოდა სათქმელი თვით ამ ყრილობაზედ, მაგრამ განა სიმართლისთვის პირი არ გვაქვს გაკრული, და ვერ გვითქვამს, რაც სათქმელი გვაქვს ჩვენ, მშრომელ გლეხებს.

მართალია თქვენ ნასიამოვნები დაბრუნდით, რომ შესაფერისი პასუხი ვერ მიიღეთ იმ ღრმა გულის ამონაკვნესი ტანჯვის, რაც ყველა ჩვენ იქ დამსწრე მშრომელ გლეხებს გვაწვა გულზედ. ვგონებ დარწმუნდით, რომ ჩვენ ვითომც არავითარი სიტყვა არ მოგვეძებნება თქვენს უსამართლობის წინაშე, რადგანაც ჩვენ კარგათ ვიცოდით, რომ თუ თქვენ ვინმე პასუხს მოგცემდა, მეორე დღეს სიღნაღის ციხეში იჯდომებოდა ისე, როგორადაც უსამართლოდ ერთი თვეა ზის ამხ. დავითაშვილი. ბ-ნ სიღნაღის მაზრის ახმეტელოვ-კრაწაშვილებო, თქვენ ბევრ უბედურებას აგვიწერთ რუსეთის ცხოვრებაზედ მაგრამ არაფერს აშბობთ, თუ როგორ გაითელა ჩვენში რევოლიუციის მონაპოვარი, მაგრამ მალე აგიხდება სიმართლე და ჭეშმარიტება.

**გლეხი**

# პროვინციის ცხოვრება.

**გურია**

ეს მიუვალი ციხეც მენშევიზმისა „გაიხრწნა" ბოლშევიზმით. აქაც შესძლეს „წყეულმა" კომუნისტებმა მენშევიკებისთვის ძილი დაეფრთხოთ და „შეგნებული გურულები" თავის ჭკუაზე მოეყვანათ. ამან კი ისედაც გაბოროტებული მენშევიკები კიდევ უფრო გააბოროტა. არ დარჩენილა ლექსიკონში ისეთი სასი- [illegible] არ მოენათლათ: ხორცმეტები, მეტომრენი, ქურდები, დეზერტირები, ყაჩაღები.დსხ.მაგრამ ამ სიმყრალის არსენალმა არ უშველა გურულ მენშევიკებს და ვერ შეაჩერებია მას მენშევიკურ პარტიაში; მიმართენ რეპრესიებს და ბევრი ამხანაგი ციხეში მიამგზავრა, რამაც მეტი უკმაყოფილება გამოიწვია გურიის გლეხობაში. ახლა კიდევ ლანძღვა-გინებას მიყვენ ხელი, მაგრამ სხვა ფორმებში. დაიწყეს ბოლშევიზმის ახსნა თავისებურათ: ბოლშევიკებიო—ეუბნება გლეხობას—წაგართმევენ სახლს, მიწას, ორი ხარი თუ გყავსო ერთს ისინი წაიყვანებენ და სხვა ასეთები მაგრამ ყველაზე აღმაშფოთებელია უფასო სწავლის განმარტება ხალხში. ეუბნებიან გლეხობას—5 წლის რომ შეიქნება ბავშვი წაგართმევენ და მერე თავის ჭკუნზე გაზრდიანო; ასე რომ გაზრდილი შვილი თავის მშობლებს ვერ იცნობს და ამ რიგათ გარყვნიან ახალგაზრდობასო ასე „ბრწყინვალეთ" უმარტავენ გლეხობას მენშევიკები უფასო სავალდებულო სწავლებას; ასეთი პროვოკაციით მენშევიკებს სურს ორი კურდღლის დაჭერა, ერთი ბოლშევიკები შეაჩვენოს ხალხს და მეორეთ გაამართლოს მათ მიერ შემოღებული უმეტესობისთვის ხელმიუწვდენელი სასწავლო გადასახადი, რომლითაც განთქმულია უმაღლეს პირველ დაწყებითი და საშუალო სასწავლებლები ჩვენში.

**მამხილებელი.**

---

**ქ. ლანჩხუთი.** (გურია) „უბედურ კაცს ქვა აღმართში მიეწიაო", ამბობს ქართული თქმულება. სწორეთ ეს ზედგამოჭრილია ლანჩხუთის მცხოვრებთათვის. ჯერ იყო და „თავისუფალი" ვაჭრობის წყალობით მთელი სიმინდი გატანილ იქნა ამ ქალაქიდან. ახლა კი თვით მცხოვრებთ არ მოეპოვებათ თავისი სარჩო. ისეთიც დაიმშა, რომელმაც ორასი ფუთი თვით გაყიდა 700—800 მანეთათ და ახლა იძულებულია 1500—1700 და ხშირათ 2000 მანეთად იყიდოს სიმინდი, ისიც თუ იშოვა. მაგრამ მცხოვრების ღარიბ ნაწილს სად შეუძლია ამ ფასათ იყიდოს ჭადი და გამოკვებოს ოჯახი. იძულებული ხდება ხილით ისაზრდოოს. ამ ნიადაგზე მოსალოდნელია სხვადასხვა გვარი სენის გაჩენა. ამას კიდევ დაერთო საქონლის ჭირი. ავათმყოფი საქონელი საექიმოთ მიყავენ ქალაქის ცენტრში. გზაზე ავათმყოფი საქონელი სვრის, როგორც წყალს, ისე თვით გზასაც, სადაც ათასობით დღეში დადის სხვადასხვა საქონელი. კარგი იქნება, რომ ამას ყურადღებას მიაქცევდენ და ამით იხსნიდენ გლეხის იმედს—საქონელს. ამას ზედ ერთვის მეყასბეების თავგასულობა. დაძრწიან სოფლად და ეძებენ ჭირიან საქონელს და მალულად უჭიროსთან ერთად ასაღებენ. დროა ისინიც აილაგმონ.

წრეულს მოსავალს კარგი პირი უჩანს, მაგრამ საუბედუროთ, აქედანვე შეუდგენ ნედლათ ჭამას, აგრეთვე დაძრწიან და აბევებენ მოსავალს პროფესიონალური სპეკულიანტები.

**კინი.**

## ზიზღი და შეჩვენება დაშნაკელებს.

მე-2 რაიონის მე-3-მე იაჩეიკის საქ. კომ. პარ. სხდომას, 27 მარიამობისთვეს მჯელობა ჰქონდა სომხეთის დაშნაკცაკნების მაუზერისტების მხეცურ მოქმედებაზე, რომელთაც არ დაინდვეს ჩვენი საუკეთესო ამხანაგები რიცხვით 11-ზე მეტი. აწვალა და აწამა მათი ხელით ისინი სისხლით გაუმაძღარმა დაშნაკელების მთავრობამ, რომელმაც უკანიდან ჩასცა ჯალათური მახვილი და გამოასალმა ისინი წუთისოფელს. ვუცხადებთ ასეთ საზიზღარი მოქმედებისათვის დიდ პროტესტს ჩვენი ამხანაგების სისხლით გაუმაძღარს ჯალათებს. ზიზღი და შეჩვენება მათ. ხოლო თქვენ, კომუნიზმის და მშრომელი ხალხისთვის თავდადებულნო და დაშნაკელთა ხელით წამებულნო, ამხანაგებო! იყავით ჯერ თქვენს ორმოში, თქვენი გვამების მიწაზე დაცემის ხმა მოესმება სომხის მშრომელებს. თქვენი ძვლებიდან უკვე დგება შურის მაძიებელი, რომელიც დაამხობს ძალადობის რეჟიმს. ზიზღი ჯალათებს და სისხლით [illegible] დაშნაკელებს.

## მისალმების დეპეშები.

ლეხაინდრაოს თემის კომუნისტური ორგანიზაცია მიესალმება ახალგაზრდა მუშათა, და გლეხთა კომუნისტური კავშირის პირველ ყრილობას, რომელიც თავისი ენერგიული მუშაობით შესძლებს შემოიკრიბოს წითელი დროშის გარშემო საქართველოს მშრომელი ხალხის საუკეთესო გმირები.

გისურვებთ გამარჯვებას!

გაუმარჯოს კომუნისტურ პარტიას!

გაუმარჯოს მსოფლიო სოციალისტური რევოლიუციას!

**ლეხაინდრაოს თემის კომუნისტური კომიტეტი.**

---

ნაგვაზევის კომუნისტური იაჩეიკა სალამს უძღვნის საქართველოს ახალგაზრდა მუშათა და გლეხთა კომუნისტურ კავშირის პირველ ყრილობას.

უსურვებთ მას ნაყოფიერ მუშაობას მშრომელი ხალხის სასარგებლოთ!

**ნაგვაზევის კომ. იაჩეიკა.**

---

ბანძის რაიონის კომუნისტური ორგანიზაციის კომიტეტი უგზავნის მხურვალე სალამს, მუშათა და გლეხთა ახალგაზრდობის, კომუნისტური კავშირის პირველი ლეგალურ ყრილობას—გისურვებთ მედგრათ და შეუდრეკლათ გეტარებინოთ წითელი დროშა, რომელზედაც აწერია: „პროლეტარებო, ყველა ქვეყნისა შეერთდით!" ჩვენ დარწმუნებული ვართ ლეგალური ყრილობა ახალგაზრდა კომუნისტური პარტიის საქართველოში შეასრულებს თავის მისიას: სასტიკათ შეებრძოლება ყველა სოციალ-გამცემლებს და ოპორტუნისტებს.

გაუმარჯოს კომუნისტურ ახალგაზრდობის კავშირის პირველ ყრილობას!

გაუმარჯოს სოციალისტურ რევოლიუციას!

გაუმარჯოს კომუნიზმს!*)

**ბანძის რაიონული კომიტეტი.**

*) როგორც მკითხველებმაც იციან ამ ყრილობას ნება არ დართეს განეგრძო მუშაობა.

# პროტესტი.

საქ. მუშ. და გლ. ახალ. კომ. კავშ. ც. კ. იმსჯელა: 1) ვითომც და ოფიციალური მოლაპარაკების გასამართავათ მოსული შინაგან საქმეთა სამინ. წარმომადგენელ და განსაკ. რაზმის აგენტების მხრით ც. კ. ბიუროზე თავდასხმაზე. 2) ამხ. ბორის ძნელაძის გარეკილ სიზდის თავმჯდომარის დატუსაღებაზე, გამოსთქვამს თავის ულრმესს აღშფოთებას და პროტესტს ჩვენი ლეგალური არსებობის ელემენტარულ პირობების უხეშ ძალით ფეხქვეშ გათელვის წინააღმდეგ და მოუწოდებს მთელ შეკავშირებულ მუშათა და გლეხთა ახალგაზრდობის და საქართველოს რევოლიუც. პროლეტარიატს—გამოუცხადოს მთავრობას სასტიკი პროტესტი და გულისწყრომა განსაკუთრებულ რაზმის აგენტების მიერ ლეგალურ ორგანიზაციების ყრილობის ვერაგულათ ჩაფუშვის წინააღმდეგ.

**საქ. მუშ. და გლეხ. ახ. კომუნ. ც. კ.**

# კომუნისტების დევნა

1919 წ 3 ნოემბერს დამატუსაღა თიანეთის ადმინისტრაციამ. ჩემ შეკითხვაზე, თუ რა იყო დატუსაღების ბრალდება ვერ ველირსე პასუხს, გამგზავნეს თბილისის საგუბერნიო საპყრობილეში № 1-ში ჩემი ბრალდება იყო: როგორც ხალხის ამრევ-დამრევი. მაწამეს 5 თვე. ივნისის 12-ს თიანეთში მოვიდა ხელმძღვანელი კომუნისტური ბიუროს მოსაწყობათ სერგო მეგრელიშვილი, რომელსაც დიდი სიხარულით შევხვდი, როთგორც მე, ისე მთელი ხალხი მოვაწყვეთ ბიურო და 14 ივნისს დაგვატუსაღეს მეგრელიშვილიც და მეც. მეგრელიშვილი თბილისში იქმნა გაგზავნილი მე და ბადურაშვილი,— თელავის სამაზრო საპყრობილეში ერთი თვით. შავასრულე ერთი თვე თელავში და გამანთავისუფლეს. მოვედი თიანეთში და პატარა ხნის შემდეგ გამომიცხადეს: შინაგან საქმეთა მინისტრმა მოგიმატა კიდევ ორი თვეო. დამატუსაღეს აგვისტოს 17-ს და ვიგზავნები თელავის [illegible] საპყრობილეში. ამავე აგვისტოში ჩამომართვეს ერთათ ერთი ცხენი ოჯახის 9 სულის მარჩენელი და, ამავე დროს, გაგზავნეს ჩემი ძმა სამი დღით ბეგარაში, მიუხედავათ გახურებული მუშაობისა. არ შევიდენ ჩემს გაჭირვებულ მდგომარეობაში, როგორც წვრილი ცოლშვილის პატრონის და მოხუცებული დედმამისა და ამავე დროს ომში ჯან დაკარგული კაცის. ბრალდებათ მედება მობილიზაციის და ხარჯების წინააღმდეგ აგიტაციის გაწევა. მე სრულიად უსაფუძვლოთ ვთვლი ჩემ ბრალდებას და ვამბობ, რომ ეს განზრახ შეთხზული ცილისწამებაა რათა ხელი შეეშალათ კომუნისტურ ბიუროს მოწყობისთვის.

**ივანე ბადურაშვილი.**

## წერილი რედაქციის მიმართ.

**განცხადება.**

ვინაიდგან ვერ შევურიგდი და ვერ დავემორჩილე მენშევიკურ მთავრობის რეჟიმს, დავტოვე პირველ აპრილიდან საქართველოს რესპუბლიკა და გავემგზავრე ქ. ბათუმში დროებით საცხოვრებლად, საიდანაც მინდოდა შემდეგში საბჭოთა რუსეთში გამგზავრება. ზოგ შინაურ მიზეზების გამო ბათუმში ჩასვლა იმ დროს მომიხდა, როცა ის საქართველოს ხელში გადავიდა და ამავე დროს გავიგე რა საბჭოთა რუსეთის წარმომადგენლის ჩამოსვლა თბილისში, გადავწყვიტე თბილისში დაბრუნება და ბოლშევიკურ პარტიაში ჩარიცხვა და ეს მით უმეტეს რომ მალე წავიკითხე გაზ. „ერთობის" 169 ნომერში ბრიტნეთის მუშ. პარტ. კონფერენციის 1100 დელეგატის (რომლებიც წარმოადგენენ ოთხ მილიონ მუშათა ხმას) დადგენილება კომუნისტურ რუსეთის სასარგებლოდ. ვაძლევ რა უდიდეს მნიშვნელობას ამ კონფერენციის დადგენილებას კომუნისტურ რუსეთის სასარგებლოდ, ვტოვებ მენშევიკურ პარტიას, რომელსაც დღემდე ვეკუთვნოდი და ვუერთდები ბოლშევიკურ პარტიას.

**ბარბარე ვლადიმერის-ასული ხერხეულიძე.**

---

**დრ. რედაქტორი: დიმიტრი ჯორჯენაძე.**

სტამბა „ეკონომია" დიდი ვანქის ქ. № 3.